

ხელვა პოლიტიკური პარტიებისთვის გუნდისკალიტაშების  
ქირითადი საჭიროებების და პოლიტიკური  
ინტერვენციების შესახებ

ახალქალაქი

ბოლნისი

დმანისი

მარნეული

ნინოწმინდა

შუახევი

ხულო



სოციალური  
სამართლიანობის  
სახელი



ლია  
სამოქალაქო  
ფონდი

ხედვა პოლიტიკური პარტიებისთვის მუნიციპალიტეტების  
ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების  
შესახებ

ახალქალაქი

ბოლნისი


დმანისი

მარნეული

ნინოწმინდა

შუახევი

ხულო



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი



დოკუმენტი მომზადებულია ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით, პროექტის "ეთნიკური უმცირესობების ხმების გაძლიერების ხელშეწყობა წინა-საარჩევნო და პოსტ-საარჩევნო პროცესებში" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

©სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge>

[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)

[www.facebook.com/socialjustice.org.ge](http://www.facebook.com/socialjustice.org.ge)

# ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

## ხედავ პოლიტიკური პარტიებისთვის

### მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ

#### 1. შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) უკვე რამდენიმე წელია სისტემურად მუშაობს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისა და ინკლუზიის საკითხებზე. სხვა რეგიონებთან ერთად, ორგანიზაცია იკვლევს ჯავახეთის რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში - ნინოწმინდასა და ახალქალაქში მცხოვრები ადამიანების ყოფას, საჭიროებებსა და წუხილებს და ადვოკატირების გზებით ცდილობს მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებასა და გადაჭრას.

ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და სოციალურ სტრუქტურებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ ერთის მხრივ, გვხვდება ის საერთო პრობლემები, რომელიც ქვეყნის ზოგადი გამოწვევებია, თუმცა მეორეს მხრივ, ინტეგრაციის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების ფონზე, გვხვდება სპეციალური საჭიროებები, რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პოზიტიურ ინტერვენციას საჭიროებს.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები და რეკომენდაციები, რომელიც წინასწარჩვენო პროგრამებისა და მომავალი რეფორმის ხედვების შემუშავების დროს გამოსადეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის.

ჩვენი ორგანიზაცია დეცენტრალიზაციის აუცილებლობას უჭერს მხარს, თუმცა დოკუმენტში ცვლილებების ხედავ ადგილობრივი ხელისუფლების არსებული კომპეტენციების ფარგლებშია წარმოდგენილი.

#### 2. მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი მონაცემების მიხედვით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 42 070 შეადგენს. მოსახლეობის 92,9 %-ს ეთნიკურად სომეხია, 6,9 % - ეთნიკურად ქართველი. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი, 21 თემი და 62 სოფელია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხოლოდ 18.4 % ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში. მუნიციპალიტეტში 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.4%, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი - 67.1%, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 12.4 %-ია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 65 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა რომელთაგან 55 - სომხურია, 9- ქართული, 2- სომხურ-ქართული და 1 - რუსული.

#### 3. პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული საჯარო პოლიტიკის სპეციალური დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, რომელიც ადგილზე არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს დაეთმობოდა და განსაზღვრავდა მუნიციპალიტეტის პოლიტიკას/გეგმას. მუნიციპალიტეტის დონეზე ასევე არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის სპეციალური პოლიტიკები.

მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაციის კუთხითაც. პრობლემები რომელიც ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მოსახლეობას აწუხებს წლების მანძილზე გროვდებოდა და გამოსავალი არც ერთი მმართველობის პირობებში არ მოეძებნა. მოსახლეობაში კრიტიკულია განცდა, რომ ისინი ხელისუფლებას მხოლოდ წინა საარჩევნოდ ახსენდება და დაპირებები რომელიც გაიცემა არ სრულდება, ან ისევე წინა საარჩევნოდ კეთდება, ისიც მინიმალური სახით. მოსახლეობა არ მიიჩნევს თავს ადგილობრივ საკითხების გადაწყვეტაში თანამონაწილედ. აღნიშნავდნენ, რომ მარტო სოფლის მხარდაჭერით პროგრამის დაგეგმვის დროს ახსენდება ისინი თვითმმართველობას და არ არიან ჩართულები სხვა პროცესებში, მათ შორის ბიუჯეტის დაგეგმვის, საკრებულო სხდომების დღის წესრიგის შესახებ. ასევე არ აქვთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის სხვა გზების შესახებ.

### **რეკომენდაციები**

*შეიმუშაოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების პოლიტიკის განახლებული დოკუმენტი და მასზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა. არსებითია ამ პოლიტიკაში ეთნიკური უმცირესობების უფლებების და სპეციალური საჭიროებების ინკლუზია. ამ კუთხით ასევე უნდა აღინიშნოს, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის პოლიტიკა ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, საუკეთესო გამოცდილებებს და ადგილობრივ თემთან დემოკრატიულ კონსულტაციებს უნდა დაეფუძნოს;*

*მიიღოს სპეციალური ზომები ადგილობრივი თემის, მათ შორის, ქალების ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილეობის გასაზრდელად. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შემუშავების პროცესი, ადგილობრივი საჭიროებების დემოკრატიულ კვლევას, საჯარო განხილვებისა და მონაწილეობის აქტიურ პრაქტიკებს დააფუძნოს;*

*სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად შექმნას სახელმწიფო ენაზე თარგმნის რესურსები, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტთან შეუფერხებელი კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს. ეს მხარდაჭერა გულისხმობს ქართული ენის არ მცოდნე მოქალაქეებისთვის მათი განცხადებების, საჩივრებისა და სხვა დოკუმენტების, ასევე მათზე თვითმმართველობის ოფიციალური პასუხის ამსახველი საჯარო ინფორმაციის თარგმნას სომხურ ენაზე;*

*მუნიციპალიტეტის დონეზე შეიქმნას მოქალაქეების მხარდამჭერი მიმღები/საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აქტიურად (პროაქტიული საინფორმაციო საშუალებები) გაუზიარებს ინფორმაციას თვითმმართველობის და სხვა რელევანტური (განსაკუთრებით სოციალურ/აგრარულ პოლიტიკაზე მომუშავე) უწყებების საქმიანობის, მათი სოციალური და სხვა ტიპის პროგრამების შესახებ, ასევე დაეხმარება მოქალაქეებს მათი ინტერესის მიხედვით შესაბამის სახელმწიფო უწყებებში გადამისამართებაში;*

*შექმნას ახალგაზრდული ინიციატივების მხარდამჭერი საგრანტო პროგრამები, რომელიც პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, თანასწორობისა და დემოკრატიის პრინციპებს დაეფუძნება;*

*შეიქმნას დემოკრატიული და ღია კომუნიკაციის არხები მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის სისტემური შეხვედრების და პრობლემების გაზიარების სახით.*

## **4. ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები**

სოციალური სამართლიანობის ცენტრის გუნდის მიერ განხორციელებული ვიზიტებისას, მოსახლეობის უმეტესობა აღნიშნავდა სარწყავი წყლის პრობლემას. ვინაიდან რეგიონში მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობს

მათთვის უმნიშვნელოვანესია, რომ სარწყავი წყალი მოსავლის მოყვანის პერიოდში მუდმივად ქონდეთ, რაც ძირითად შემთხვევაში არ ხდება. სასმელი წყლის საკითხიც რეალური გამოწვევაა სოფლების უმეტესობაში, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლებში. ზოგ სოფელში სასმელი წყალი კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდის რამდენიმე საათით, ზოგ სოფელში კი მოსახლეობას რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა უწევს სასმელი წყლის საერთო ჭიდან მოსატანად. ეს შრომა კი მეტწილად ქალების ტვირთია. კიდევ უფრო მასშტაბურია სარწყავი წყლის პრობლემა, რადგან მელიორაციის სისტემა ფაქტობრივად მთლიანად განსახლებულია.

**ჩვენთან სასმელი წყლით უზრუნველყოფის მოთხოვნა ყველაზე კრიტიკულად სოფლების: ფილიპოვკასა და კარწახის მაცხოვრებლებმა დააყენეს.**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საბავშვო ბაღების ნაკლებობა. ახალქალაქში სულ 13 საბავშვო ბაღია, რომელთაგან 3 ქალაქ ახალქალაქში მდებარეობს, რაც სოფლის ტიპის დასახლებებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საგანგაშო სიმცირეზე მიუთითებს. სავლევ ვიზიტებისას მოსახლეობის უდიდეს წუხილს მათი შვილებისთვის, სწორედ ამ მნიშვნელოვანი სივრცეების არ არსებობა წარმოადგენდა. ვინაიდან საბავშვო ბაღი ის სივრცეა, სადაც ბავშვი ყალიბდება, იღებს შემდგომი განათლებისთვის მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს და ეუფლება სახელმწიფო ენას. მოსახლეობა ხშირად აღნიშნავს, რომ სკოლამდელი განათლების ეტაპის გამოტოვების პირობებში მათ შვილებს უჭირთ სწავლა სკოლის ეტაპზე. მეზობელ სოფლებში არსებულ საბავშვო ბაღებში სიარულს კი მხოლოდ ის ბავშვები ახერხებენ, რომელთა ოჯახებსაც ფინანსურად ამის შესაძლებლობა აქვთ.

**სკოლამდე აღზრდის დაწესებულებების ორგანიზების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დასახელდა სოფლებში - კორხი, თოთხამი, აბული, ვარევანი, ორჯა.**

სოფლების უმრავლესობაში არ არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მოსახლეობას ცენტრთან დააკავშირებდა. ტრანსპორტის პრობლემა, იმთავითვე კავშირშია განათლების საკითხთან. სოციალური სამართლიანობის ცენტრის გუნდის მიერ შესწავლილი სოფლების უმეტესობაში ტრანსპორტი უბრალოდ არ დადის. ამ პირობებში შეუძლებელია ახალგაზრდამ დაგეგმოს სწავლის გაგრძელება, თუნდაც ახალქალაქში არსებულ სასწავლებელში. სოფლების უმეტესობაში შიდა გზები მოუწესრიგებელია, გადაადგილება წვიმიან ამინდში პრაქტიკულად შეუძლებელია. ხშირად გზები იმდენად ტალახდება, რომ ბავშვებს მშობლები სკოლაში ვერ უშვებენ. მაღალმთიან სოფლების პრობლემა კი არამხოლოდ შიდა გზები, არამედ მისასვლელი გზებიცაა, რომელზე გადაადგილებაც მხოლოდ მაღალი გამავლობის მანქანით არის შესაძლებელი.

სოფლების უმეტესობა არ არის აღჭურვილი სათანადო რაოდენობის ნაგვის ურნებით, რაც სოფლის შემოგარენში ქმნის დაბინძურების კერებს. იგივე ითქმის მდინარის და ტყის ნაპირებზე. მიუხედავად იმისა რომ ნელ-ნელა ნარჩენების საკითხი აქტუალური ხდება და სულ უფრო და უფრო იმატებს სოფლების რიცხვი, სადაც სანაგვე ურნები თავსდება, რეალურად მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება უკვე დაგროვილი ნარჩენების გატანისა და განადგურების ორგანიზება, რაც უარყოფითად აისახება სოფლების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

**დასუფთავების და გარემოს დაცვის საკითხები ყველაზე კრიტიკულად სოფელი აბულის და ვარევანის მოსახლეობა დააყენა ჩვენთან.**

მუნიციპალიტეტში სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან ჩავარდნას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების დიდ ნაწილს არ აქვს ზუსტი და მკაფიო წარმოდგენა იმ სოციალური სერვისების შესახებ, რასაც მუნიციპალური, თუ სახელმწიფო ორგანოები აწვდიან საკუთარი ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან და უფლებამოსილებიდან გამომდინარე. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობით დასახლებული სოფლების უმეტესობაში, ცოდნა სახელმწიფო სერვისებზე უკიდურესად დაბალია. მოსახლეობამ პრობლემად დაასახელა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე ინფორმაციის არქონა, მათ შორის სოფლებში ნაკლებია ინფორმაცია კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით. მათ არ აქვთ ცოდნა სოციალური დახმარების პროგრამების და პროცედურების შესახებაც. ვიზიტებისას მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო სერვისების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის სურვილი და მოტივაცია ნაკლებად აქვთ, რადგან არსებობს ზოგადი მოლოდინი რომ ამ ორგანოებიდან დახმარებას/მხარდაჭერას ვერ მიიღებენ და უშედეგოდ შეეცდებიან კომუნიკაციას. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ადგილობრივებს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა უჭირთ. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის ორგანოებში და სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელ ორგანოებში ხშირად ეთნიკურად სომეხები არიან დასაქმებული, მათთან კომუნიკაცია, დოკუმენტების მიღება/გაცემა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე ხდება, რაც ენიც არცოდნის პირობებში მნიშვნელოვანი ბარიერია.

#### რეკომენდაციები

*უზრუნველყოს სოფლებისთვის საბავშვო ბაღების მშენებლობა და სათანადო ორენოვანი და მულტიკულტურული სწავლების პროგრამების განვითარება;*

*უზრუნველყოს სოფლებში შიდა გზების, ნავის ყუთების, ნაგავსაყრელების და ელექტროგაყვანილობის ბოძების მოწესრიგება და მათი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა;*

*მნიშვნელოვანი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება აამუშავებს სათემო სოციალური მუშაკების სისტემას, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შექმნის და განავითარებს და სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირების და სოციალური დაცვის შესაბამის ინსტიტუტებთან ადგილობრივების კომუნიკაციის არხებს გააჩენს. ეს ინსტიტუტი დაეხმარება სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ადგილობრივებთან კომუნიკაციის გაძლიერებაში და ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებას და პასუხისმგებელ უწყებებთან მიტანას უკეთესად მოახდენს.*

#### 4. ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები

მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში საკმაოდ ფორმალური როლი ენიჭება გენდერულ საკითხებს, ქალთა ოთახის ფუნქციონირებას აქვს ძალიან შეზღუდული ფინანსური და ორგანიზაციული ლიმიტები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ გადის გენდერული საჭიროებების კუთხით ექსპერტიზას. ახალქალაქში არ არის შშმ პირების რეაბილიტაციის დღის ცენტრი, მუნიციპალიტეტისთვის უცნობია შშმ პირთა საჭიროებები.

### რეკომენდაციები

*შშმ პირებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე და ადაპტირებაზე ორიენტირებული პროგრამების ამუშავება, რომელიც წინასწარ კვლევასა და შშმ პირებთან და მათ ოჯახებთან აქტიურ კონსულტაციებს დაეფუძნება;*

*გაზარდოს ქალთა ოთახის საბიუჯეტო დაფინანსება, გაითვალისწინოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული საჭიროებები, უზრუნველყოს სოფლის კრებებზე ქალთა აქტიური დასწრება და მონაწილეობა.*

## 5. მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები

ახალქალაქის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა როგორც აღინიშნა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომხები არიან. ეთნიკური ერთგვაროვნება მეტ-ნაკლებად გამორიცხავს მძაფრ კულტურულ დამაბულობას. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის ძალისხმევა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რადგან აუცილებელია ახალქალაქში მაცხოვრებელი ეთნიკური სომხები მთლიანი საქართველოს კონტექსტში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ და აქვთ ბარიერები სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე.

### რეკომენდაციები

*მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების საგანმანათლებლო, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭრა, რომელიც მიმართული იქნება ახალქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების და საქართველოს სხვა რეგიონების ახალგაზრდების ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განსახორციელებლად;*

*შექმნას ინტერ-ეთნიკური დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატები და პოლიტიკები, რომელიც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირებს გააძლიერებს.*

## შეჯამება

ზემოაღნიშნული საკითხები წარმოადგენს, იმ სისტემური პრობლემების მცირე ჩამონათვალს, რომელიც ახალქალაქის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თემის გამოწვევებს ასახავს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ დოკუმენტში წამოჭრილ პრობლემებს საკუთარი სტრატეგიული ხედვების და პოლიტიკური პროგრამების შემუშავებისას, რითიც ხელს შეუწყობთ ინკლუზიურ და სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის მშენებლობას.



# ბოლნისის მუნიციპალიტეტი

## ხედავ პოლიტიკური პარტიებისთვის

### მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ

#### 1. შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) უკვე რამდენიმე წელია სისტემურად მუშაობს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისა და ინკლუზიის საკითხებზე. სხვა რეგიონებთან ერთად, ორგანიზაცია იკვლევს ქვემო ქართლის რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში - მარნეულში, ბოლნისში, დმანისსა და წალკაში მცხოვრები ადამიანების ყოფას, საჭიროებებსა და წუხილებს და დემოკრატიული ადვოკატირების გზებით ცდილობს მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებასა და გადაჭრას.

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და სოციალურ სტრუქტურებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ ერთის მხრივ, გვხვდება ის საერთო პრობლემები, რომელიც ქვეყნის ზოგადი გამოწვევებია, თუმცა მეორეს მხრივ, რეგიონის ეთნიკური კომპოზიციის და ინტეგრაციის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების ფონზე, გვხვდება სპეციალური საჭიროებები და სოციალური უსამართლობები რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პოზიტიურ ინტერვენციას საჭიროებს.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია **ბოლნისის მუნიციპალიტეტში** არსებული ძირითადი სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები და რეკომენდაციები, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამებისა და მომავალი რეფორმის ხედვების შემუშავების დროს გამოსადეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის. აღსანიშნავია, რომ არსებული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ფორმატებში შემუშავებული იყო ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან და აქტივისტურ ჯგუფებთან ერთად და ისინი მათი მხარდაჭერით ასევე სარგებლობს.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია დეცენტრალიზაციის აუცილებლობას უჭერს მხარს, დოკუმენტში წარმოდგენილი ცვლილებების ხედავ ადგილობრივი ხელისუფლების არსებული კომპეტენციების ფარგლებშია მოქცეული.

#### 2. მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

ბოლნისის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 15 ადმინისტრაციული ერთეულია, რომლებშიც 46 სოფელია გაერთიანებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2021 წლისთვის 55 590 ადამიანს შეადგენს და რუსთავის შემდეგ ქვემო ქართლის რეგიონში, სიდიდით რიგით მესამე მუნიციპალიტეტია. ქალაქ ბოლნისის მოსახლეობა შეადგენს 12 700 ადამიანს, რაც მოსახლეობის 25.8 პროცენტს შეადგენს. 2014 წლის საქართველოს საყოველთაო აღწერის მიხედვით, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 63.38%-ს შეადგენენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, 30,91 %-ს ეთნიკური ქართველები, 5%-ს - ეთნიკური სომხები. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (63,38 %) მუსლიმი მოსახლეობა შეადგენს.<sup>1</sup>

<sup>1</sup> 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები, საქსტატის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3319>

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 12.6 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. საქალაქო დასახლებებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი 24.6 პროცენტია, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 8.5 პროცენტი.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინტიტუტის 2012 წლის კვლევის შესაბამისად, ქვემო ქართლში მცხოვრები 6 წელზე ზევით ასაკის ეროვნული უმცირესობების 71.5 % ვერ ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ეთნიკურ აზერბაიჯანელებში – 78, 3 %, ხოლო სომეხ მოსახლეობაში – 36.6 %.<sup>2</sup> ცხადია, 2012 წლის შემდეგ სახელმწიფო ენის მცოდნე მოქალაქეების რიცხვი მუნიციპალიტეტში გაზრდილი იქნება.

### 3. პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების დაბალ პოლიტიკურ მონაწილეობაზე არაერთი კვლევა მიუთითებს. საქართველოში არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების ინტერესების დიად გამომხატველი პოლიტიკური პარტია. ამასთანავე, არ არსებობს სპეციალური პოზიტიური მექანიზმები (მაგალითად, კვოტირება, პარტიების სპეციალური დაფინანსების წესი), რომლებიც მათ პოლიტიკურ მონაწილეობას წახალისებდა და არსებულ ასიმეტრიას აღმოფხვრიდა.

ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაცია და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა ძალიან სუსტია. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ეთნიკური კომპოზიცია შემდეგია. ის მთლიანობაში 30 წევრისგან შედგება, სადაც 17 ეთნიკურად ქართველია (56%), 12 ეთნიკურად აზერბაიჯანელი (40 %), 1 კი ეთნიკურად სომეხი (4%).<sup>3</sup> ეს მონაცემი, ადასტურებს საერთო ტენდენციას, რომელიც ჩანს ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაციაში საკრებულოების დონეზე სხვა მუნიციპალიტეტებში.<sup>4</sup>

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა 190 აქედან 27 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. მათი დიდი ნაწილი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელზე მოდის (16 დასაქმებული). ანუ დასაქმებულთა მხოლოდ 14 %-ია ეთნიკური უმცირესობა, ეს მაშინ როდესაც ბოლნისის მუნიციპალიტეტის 69,1 % ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ, მათგან ყველაზე დიდი ჯგუფი კი საქართველოს აზერბაიჯანელები არიან (63,4 %).

ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიუხედავად (მაგალითად, FCNM), ადმინისტრაციულ წარმოებაში არ უზრუნველყოფს უმცირესობების ენაზე თარგმანის რესურსების შექმნას. ადგილობრივი თვითმმართველობა ასევე არ ზომავს მის მიერ მიწოდებული მომსახურებისა და პროგრამების ეთნიკური გადანაწილების ტენდენციებს, რაც ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ასიმეტრიის აღმოფხვრის საფუძველი უნდა იყოს. ენის არსებული პოლიტიკა ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რიყავს და არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს მას.<sup>5</sup>

კიდევ უფრო პრობლემური და ასიმეტრიულია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლნისის

<sup>2</sup> სოციალური კვლევისა და ანალიზის ინტიტუტი, 2012 წელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3g7NTz0>

<sup>3</sup> საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <http://nala.ge/post/242260-marneulis-municipaliteti->

<sup>4</sup> შენიშვნა: CSEM-ის 2017 წლის კვლევა აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 8 მუნიციპალიტეტში კი (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, ახალქალაქი, ახალიციხე, ნინოწმინდა) საკრებულოების დონეზე ეთნიკურ უმცირესობების გაცილებით სუსტად არიან წარმოდგენილები. ამ მუნიციპალიტეტებში საშუალოდ 779 ეთნიკურად ქართველს ჰყავს ერთი წარმომადგენელი საკრებულოში, მაშინ როდესაც 1,116 ეთნიკურად სომეხსაც და 2,945 ეთნიკურად აზერბაიჯანელსაც თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავს საკრებულოში.

<sup>5</sup> ISSA უახლესი კვლევის შესაბამისად, გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 69,9 % აცხადებს, რომ მათ საკუთარი და მისი ოჯახის საჭიროებების არასდროს მიუმართავს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. საჯარო ინტერესების შემთხვევაში მიმართვიანობა კიდევ უფრო მაღალია და 76,5 %-ს აღწევს, კვლევა ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>

მუნიციპალიტეტის საკრებულოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები არ არიან წარმოდგენილნი. მერიის არცერთი სამსახურის თუ განყოფილების უფროსი არ არის ეთნიკური უმცირესობების თემიდან ქალი. ასევე, მუნიციპალიტეტის მხოლოდ ერთ ადმინისტრაციულ ერთეულშია მერის წარმომადგენელია ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი.<sup>6</sup> ხშირ შემთხვევაში სოფლის კრებებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ქალების საერთოდ არ ესწრებიან, შესაბამისად, მათი წუხილები და პრობლემები გაუზიარებელი რჩება.

### **რეკომენდაციები**

*ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში (მათ შორის, საჯარო ინფორმაციის, ვებ-გვერდის, ცხელი ხაზის, სერვისების) შეიქმნას უმცირესობების ენებზე თარგმანის რესურსები, რაც სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებს თვითმმართველობის ორგანოებთან შეუზღუდავი კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს;*

*არსებითად გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების დასაქმება და დაინერგოს მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართული სპეციალური პროგრამები;*

*ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დაინერგოს გენდერული და ეთნიკური ნიშნით მათი მუშაობის (სერვისების, პროგრამების, სხვა აქტივობების) გადანაწილების გაზომვის მეთოდოლოგიები;*

*ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე მოქმედი ჩართულობის მექანიზმების ფუნქციონირება (მათ შორის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სოფლის კრებები) რეალური და ქმედითი გახდეს და განსაკუთრებით გაძლიერდეს ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის და მონაწილეობის დემოკრატიული პლატფორმები;*

*ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობისთვის ქალებისთვის შეიქმნას დემოკრატიული საკონსულტაციო მექანიზმი მერთან და საკრებულოსთან.*

## **4. ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები**

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული, რაც უკაჭვურ ბმაშია, მოსახლეობის წინაშე არსებულ განათლების, თუ პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებთან. მოსახლეობის წინაშე არსებული გამოწვევები ინფრასტრუქტურის არ არსებობასთან ერთად, კიდევ უფრო ძლიერდება. შესაძლებელია გამოვეყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პრობლემები:

**საზოგადოებრივი ტრანსპორტი.** ბოლნისის სოფლების უმრავლესობაში არ არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მოსახლეობას რომელიმე ქალაქამდე მიიყვანს. ძირითადად მოსახლეობა მთავარ გზატკეცილამდე მიდის, საიდანაც ელის რაიმე ტრანსპორტს, რომელიც მარნეულამდე, თბილისამდე, ან ბოლნისამდე მიიყვანს. ხშირად მოსახლეობა ბავშვებისთვის განკუთვნილ სასკოლო ტრანსპორტს დაყვება ბოლნისამდე, ვინაიდან სხვა გადაადგილების საშუალება სოფელში არ არსებობს. ტრანსპორტირების პრობლემა არ ქმნის მხოლოდ მიმოსვლის პრობლემას. იმ პირობებში როცა სოფლების უმეტესობაში არ არის საბავშვო ბაღი, არ არის ამბულატორია და აფთიაქი, არ არის სხვა მინიმალური სერვისების მიღების შესაძლებლობა,

<sup>6</sup> ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2019-2020 წწ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ტრანსპორტის ნაკლებობა პრაქტიკულად იზოლაციაში აგდებს სოციალურად ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას.<sup>7</sup>

**სასმელი და სარწყავი წყალი.** სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტის პრობლემა გვხვდება თითქმის ყველა სოფელში. სოფლებში სარწყავი წყალი ვაჭრობისა და ძალაუფლების სპეკულირების საკითხი ხშირად ხდება. ვინაიდან რეგიონში მიწათმოქმედი ხალხი ცხოვრობს მათთვის უმნიშვნელოვანესია, რომ სარწყავი წყალი მოსავლის მოყვანის პერიოდში მუდმივად მიედინებოდეს, რაც ძირითად შემთხვევაში არ ხდება. მელიორაციის საკითხი ეკოლოგიური კუთხითაც აფიქრებს მოსახლეობას, ვინაიდან თვალნათლივ ჩანს წყლის არაბუნებრივი ფერი, რომლითაც მოსახლეობას უწევს სახნავ-სათესი მიწების მორწყვა. სასმელი წყლის საკითხიც რეალური გამოწვევაა სოფლების უმეტესობაში, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლებში. ზოგ სოფელში სასმელი წყალი კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდის რამდენიმე საათით, ზოგ სოფელში კი მოსახლეობას რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა უწევს სასმელი წყლის საერთო ჭიდან მოსატანად. ეს შრომა კი მეტწილად ქალების ტვირთია.

**ჯანდაცვა.** ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძირითად ნაწილში არ არის აფთიაქი, არ არსებობს ამბულატორია და სოფლის ექიმი, რომელიც რამდენიმე სოფელს ემსახურება, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს. ამასთან, საყოველთაო სიღარიბე და რესურსებზე წვდომის არქონა, პირდაპირ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.<sup>8</sup>

**სკოლამდელი აღზრდა.** ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფლების უმეტეს ნაწილში არ არსებობს საბავშვო ბაღები. მუნიციპალიტეტში 12 საბავშვო ბაღია და ისინი მხოლოდ ქართველი მოსახლეობით დასახლებულ სოფელშია. არც ერთ სოფელში სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ მრავლად, საბავშვო ბაღი არ არის. შესაბამისად ბავშვებს არ აქვთ სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში კი სკოლამდელმა აღზრდამ ასევე უნდა შეითავსოს სახელმწიფო ენის სწავლების მნიშვნელოვანი ფუნქცია.

### რეკომენდაციები

*მოხდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესაძენად და მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის და სქემის შემუშავება, რომელიც კონკრეტული სოფლების საჭიროებებს დაეფუძნება;*

*უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობა სასმელი და სარწყავი წყლის სისტემებით და ამისთვის შეიქმნას სოციალურ პრიორიტეტებზე, დემოკრატიულ კონსულტაციებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერს წყლის რესურსების გარეშე დარჩენილი სოფლების წყლით ეტაპობრივ დაკმაყოფილებას;*

*უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და ფუნქციონირება, რომელიც სოფლების საჭიროებებს დაეფუძნება. გარდამავალ პერიოდში დროებით ზომის სახით ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მოხდეს სოფლებში უკვე არსებული სკოლის ბაზაზე სივრცეების გამოყოფისა და აღმზრდელების გადამზადების გზით;*

*მზარი დაუჭიროს და დააორგანიზოს ბოლნისის მუნიციპალიტეტში სააფთიაქო ქსელისა და ჯანდაცვის რესურსების ორგანიზებას.*

<sup>7</sup> ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ზოგადი დოკუმენტი, EMC, 2019 წ; ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/bolnisis-munitsipalitetshi-arsebuli-problemebis-da-gamotsvevebis-shefasebis-zogadi-dokumenti>

<sup>8</sup> EMC მარნეულსა და ბოლნისში შექმნილ სოციალური კრიზისის ეხმანება, 22.04.2020 წ. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/emc-marneulsa-da-bolnisshi-shekmnil-sotsialuri-kriziss-ekhmianebs>

## 5. ცალკეული მოწყვლადი სოციალური ჯგუფების საჭიროებები

ადგილობრივი თვითმმართველობები როგორც წესი არ აწარმოებენ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მრავალგანზომილებიან კვლევას, რომელიც მათ მდგრადი სოციალური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას მისცემდა. ამ კუთხით მუნიციპალურ სამსახურში განსაკუთრებით სუსტია სოციალური მუშაკების რესურსი, რის გამოც აუცილებელია სოციალური სამსახურის თანამშრომლების რიცხოვნობის გაზრდა და მათი სისტემური გადამზადების პროგრამების (მათ შორის, ბავშვთა უფლებების, შშმ პირთა უფლებების, საცხოვრისზე უფლების, ქალთა უფლებების საკითხებზე) დანერგვა.

მუნიციპალიტეტის მიერ ასევე არ ხორციელდება კონკრეტული მოწყვლადი სოციალური ჯგუფების საჭიროებების კვლევა და მათი მიზნობრივი მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს მცირე გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში კვლავ პრობლემურია შშმ პირების მხარდაჭერის მდგრადი სერვისებისა და პროგრამების დანერგვა.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას ქალთა მხარდაჭერის პროგრამების სისუსტეს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისში ქალთა ოთახი ფუნქციონირებს, ადგილობრივი ქალები მეტწილად გარიყულნი არიან სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებიდან. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის არ არსებობს ქმედითი საკონსულტაციო მექანიზმი ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, რომელსაც რეალური პრობლემების გადაწყვეტის ნება და შესაძლებლობა ექნებოდა.

### რეკომენდაციები

*მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურში მოხდეს კვალიფიციური სოციალური მუშაკების კადრების (მათ შორის, უმცირესობების ენაზე მომუშავე თანამშრომლების) მობილიზება და მათ გაძლიერებაზე მიმართული გრძელვადიანი ღონისძიებების დანერგვა;*

*სოციალური სამსახურის სამუშაო ინსტრუმენტების გაძლიერება, რაც მათ შორის, მოიცავს საჭიროებების მრავალგანზომილებიან და სამართლიან ინდიკატორებზე დაფუძნებული ბაზის შექმნას;*

*შექმნას შშმ პირთა რეაბილიტაციაზე მიმართული მდგრადი სოციალური და ჯანდაცვის სერვისები; მოხდეს ქალთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების და სერვისების შესახებ ადგილობრივი ქალების ინფორმირება ეფექტიანი და მდგრადი საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებით.*

## 6. მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურის სათანადო დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც სახალხო დამცველი და სხვა ადამიანის უფლებათა აქტორები უთითებენ. ბოლნისის მუნიციპალიტეტში გამოწვევაა მუნიციპალიტეტის მხრიდან აზერბაიჯანული დღესასწაულებისა და კულტურისთვის დამახასიათებელი ატრიბუტებისა და სიმბოლოების იგნორირების პოლიტიკა. პრობლემურია საკულტო ნაგებობების მშენებლობის საკითხიც, ვინაიდან მუნიციპალიტეტიდან ახალი ნაგებობის მშენებლობის ნებართვაზე მოსახლეობას მუდმივად უარი მისდის, სრულიად გაუგებარი მიზეზების დასახელებით.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის ფორმატები არ არსებობს. სუსტია ადგილობრივი თვითმმართველობის მულტიკულტურული პოლიტიკა და პრაქტიკებიც.

## რეკომენდაცია

მულტიკულტურული და თანასწორი სოციალური გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნის ქვეშ ინტერ-ეთნიკური საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, რომელიც მათ შორის უმცირესობების კულტურის მდგრად განვითარებასა და პოპულარიზებას, ასევე ინტერკულტურული თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს;

გააძლიეროს სოფლად კულტურული სივრცეების ორგანიზების ხელშეწყობა და შესაბამისი პროგრამების დანერგვა;

შეიქმნას მუნიციპალიტეტის მულტიკულტურული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც კულტურის მოღვაწეებთან, აქტივისტებთან და ექსპერტებთან კონსულტაციებს დაეფუძნება.

## შეჯამება

ზემოაღნიშნული საკითხები წარმოადგენს, იმ სისტემური პრობლემების მცირე ჩამონათვალს, რომელიც ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამოწვევებს ასახავს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ დოკუმენტში წამოჭრილს პრობლემებს საკუთარი სტრატეგიული ხედვების და პოლიტიკური პროგრამების შემუშავებისას, რითიც ხელს შეუწყობთ ინკლუზიაზე, სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის მშენებლობას.

გადაუდებელი საჭიროებები	სტრუქტურული გამოწვევები	სპეციალური საჭიროებები	არაღიარებული საჭიროებები
სასმელ წყალზე უფლება განსაკუთრებით პრობლემურია სოფლებში - ცურტავი, ტალავერი, დარბაზი, სოფელ მამხუტსა და სავანეთს	ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არც ერთ სოფელში არ არის საბავშვო ბაღი.	ეკომიგრანტებით, ქართველი მუსლიმებით, დასახლებულია სოფელი დისველი, სადაც მნიშვნელოვანია სახელმწიფომ იმუშავოს შესაძლო რელიგიური დამაბულობის პრევენციაზე	ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და ჩართულობის პრობლემა მწვავედ დგას შემდეგ სოფლებში - სავანეთი, ტალავერი, წიფორი, ცურტავი, ქვემო ბოლნისი, დარბაზი, რატევანი, მუშევანი და სხვა.
ანტისანიტარია განსაკუთრებით მძიმედ დგას სოფლებში - სავანეთი, მამხური და წიფორი.	სარწყავი წყალის პრობლემა მძიმედ დგას სოფლებში - სავანეთი, ჭაპალადა სამტრედო.		საკულტო ნაგებობის მშენებლობაზე მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებელი უარი რამდენჯერმე უთხრა სოფელ წიფორისა და სოფელ ცურტავის მაცხოვრებლებს.
	სოფლის შიდა გზები მოუწესრიგებელია თითქმის ყველა სოფელში, განსაკუთრებით პრობლემურია - დარბაზი, ჭაპალა, მუშევანი, მამხუტი		

# დმანისის მუნიციპალიტეტი

## ხედავ პოლიტიკური პარტიებისთვის

### მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ

#### 1. შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) უკვე რამდენიმე წელია სისტემურად მუშაობს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისა და ინკლუზიის საკითხებზე. სხვა რეგიონებთან ერთად, ორგანიზაცია იკვლევს ქვემო ქართლის რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში - მარნეულში, ბოლნისში, დმანისსა და წალკაში მცხოვრები ადამიანების ყოფას, საჭიროებებსა და წუხილებს და დემოკრატიული ადვოკატირების გზებით ცდილობს მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებასა და გადაჭრას.

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და სოციალურ სტრუქტურებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ ერთის მხრივ, გვხვდება ის საერთო პრობლემები, რომელიც ქვეყნის ზოგადი გამოწვევებია, თუმცა მეორეს მხრივ, რეგიონის ეთნიკური კომპოზიციის და ინტეგრაციის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების ფონზე, გვხვდება სპეციალური საჭიროებები და სოციალური უსამართლობები რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პოზიტიურ ინტერვენციას საჭიროებს.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია **დმანისი მუნიციპალიტეტში** არსებული ძირითადი სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები და რეკომენდაციები, რომელიც წინასწარჩვენო პროგრამებისა და მომავალი რეფორმის ხედვების შემუშავების დროს გამოსადეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის. აღსანიშნავია, რომ არსებული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ფორმატებში შემუშავებული იყო ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან და აქტივისტურ ჯგუფებთან ერთად და ისინი მათი მხარდაჭერით ასევე სარგებლობს.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია დეცენტრალიზაციის აუცილებლობას და ამ კუთხით რეფორმას უჭერს მხარს, დოკუმენტში წარმოდგენილი ცვლილებების ხედავ პრაქტიკული მიზნებისთვის ადგილობრივი ხელისუფლების არსებული კომპეტენციების ფარგლებშია მოქცეული.

#### 2. მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

დმანისის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 15 ადმინისტრაციული ერთეულია, რომელთაგან 57 სოფელია გაერთიანებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2021 წლისთვის 19 141 ადამიანს შეადგენს. ქალაქ დმანისის მოსახლეობა, სრული მოსახლეობის 13.9 პროცენტს შეადგენს. 2014 წლის საქართველოს საყოველთაო აღწერის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 65.46%-ს შეადგენენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, 33,15 %-ს ეთნიკური ქართველები, მცირე რაოდენობით სახლობენ ბერძნები, რუსები და სომხები. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (65,46 %) მუსლიმი მოსახლეობა შეადგენს.<sup>9</sup>

დმანისის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 8.7 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. საქალაქო დასახლებებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილი 18.3 პროცენტია, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 7,2 პროცენტი.

<sup>9</sup> 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები, საქსტატის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3319>

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინტიტუტის 2012 წლის კვლევის შესაბამისად, ქვემო ქართლში მცხოვრები 6 წელზე ზევით ასაკის ეროვნული უმცირესობების 71.5 % ვერ ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ეთნიკურ აზერბაიჯანელებში - 78, 3 %, ხოლო სომეხ მოსახლეობაში - 36.6 %.<sup>10</sup> ცხადია, 2012 წლის შემდეგ სახელმწიფო ენის მცოდნე მოქალაქეების რიცხვი მუნიციპალიტეტში გაზრდილი იქნება.

### 3. პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების დაბალ პოლიტიკურ მონაწილეობაზე არაერთი კვლევა მიუთითებს. საქართველოში არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების ინტერესების დიად გამომხატველი პოლიტიკური პარტია. ამასთანავე, არ არსებობს სპეციალური პოზიტიური მექანიზმები (მაგალითად, კვოტირება, პარტიების სპეციალური დაფინანსების წესი), რომლებიც მათ პოლიტიკურ მონაწილეობას წახალისებდა და არსებულ ასიმეტრიას აღმოფხვრიდა.

ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაცია და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა ძალიან სუსტია. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ეთნიკური კომპოზიცია შემდეგია. ის მთლიანობაში 31 წევრისგან შედგება, სადაც 21 ეთნიკურად ქართველია (68%), 10 ეთნიკურად აზერბაიჯანელი (32 %) <sup>11</sup> ეს მონაცემი, ადასტურებს საერთო ტენდენციას, რომელიც ჩანს ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაციაში საკრებულოების დონეზე სხვა მუნიციპალიტეტებში.<sup>12</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები აზერბაიჯანელების რიცხვი ძალიან მაღალია, ის პროპორციულად არ აისახება უმცირესობების მიერ დაკავებულ საჯარო თანამდებობებზე. მერიის არც ერთი სამსახურის უფროსი არ არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. **დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში** საჯარო მოსამსახურეთა ჯამური რაოდენობა 107, აქედან 23 ეთნიკური უმცირესობაა. მათი დიდი ნაწილი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელზე და სპეციალისტზე მოდის (21 დასაქმებული). ანუ დასაქმებულთა მხოლოდ 21,5 % ეთნიკური უმცირესობა, ეს მაშინ როდესაც დმანისის მუნიციპალიტეტის 66,9 % ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ, მათგან ყველაზე დიდი ჯგუფი კი საქართველოს აზერბაიჯანელები არიან (65,5 %).

ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიუხედავად (მაგალითად, FCNM), ადმინისტრაციულ წარმოებაში არ უზრუნველყოფს უმცირესობების ენაზე თარგმანის რესურსების შექმნას. ადგილობრივი თვითმმართველობა ასევე არ ზომავს მის მიერ მიწოდებული მომსახურებისა და პროგრამების ეთნიკური გადანაწილების ტენდენციებს, რაც ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ასიმეტრიის აღმოფხვრის საფუძველი უნდა იყოს. ენის არსებული პოლიტიკა ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რიყავს და არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს მას.<sup>13</sup>

კიდევ უფრო პრობლემური და ასიმეტრიულია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ დმანისის

<sup>10</sup> სოციალური კვლევისა და ანალიზის ინტიტუტი, 2012 წელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3g7NTz0>

<sup>11</sup> საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <http://nala.ge/post/242260-marneulis-municipaliteti->

<sup>12</sup> შენიშვნა: CSEM-ის 2017 წლის კვლევა აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 8 მუნიციპალიტეტშიც კი (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა) საკრებულოების დონეზე ეთნიკური უმცირესობების გაცილებით სუსტად არიან წარმოდგენილები. ამ მუნიციპალიტეტებში საშუალოდ 779 ეთნიკურად ქართველს ჰყავს ერთი წარმომადგენელი საკრებულოში, მაშინ როდესაც 1,116 ეთნიკურად სომეხსაც და 2,945 ეთნიკურად აზერბაიჯანელსაც თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავს საკრებულოში.

<sup>13</sup> შენიშვნა: ISSA უახლესი კვლევის შესაბამისად, გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 69,9 % აცხადებს, რომ მათ საკუთარი და მისი ოჯახის საჭიროებების არასდროს მიუმართავს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. საჯარო ინტერესების შემთხვევაში მიმართვიანობა კიდევ უფრო მაღალია და 76,5 %-ს აღწევს, კვლევა ხელმისაწვდომია: <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>



მუნიციპალიტეტის საკრებულოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები არ არიან წარმოდგენილნი. მერიის არცერთი სამსახურის თუ განყოფილების უფროსი არ არის ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი. ხშირ შემთხვევაში სოფლის კრებებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ქალების საერთოდ არ ესწრებიან, შესაბამისად, მათი წუხილები და პრობლემები გაუზიარებელი რჩება.

### **რეკომენდაციები**

*ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში (მათ შორის, საჯარო ინფორმაციის, ვებ-გვერდის, ცხელი ხაზის, სერვისების) შეიქმნას უმცირესობების ენებზე თარგმანის რესურსები, რაც სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებს თვითმმართველობის ორგანოებთან შეუზღუდავი კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს;*

*არსებითად გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების დასაქმება და დანერგოს მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართული სპეციალური პროგრამები;*

*მუნიციპალიტეტის მერის ერთ-ერთ მოადგილედ დაინიშნოს ქალი, რომელიც შეძლებს ქალთა საკითხების აქტუალიზაციას და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებში მათ დაყენებას.*

*ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დაინერგოს გენდერული და ეთნიკური ნიშნით მათი მუშაობის (სერვისების, პროგრამების, სხვა აქტივობების) გადანაწილების გაზომვის მეთოდოლოგიები;*

*ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე მოქმედი ჩართულობის მექანიზმების ფუნქციონირება (მათ შორის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სოფლის კრებები) რეალური და ქმედითი გახდეს და განსაკუთრებით გაძლიერდეს ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის და მონაწილეობის დემოკრატიული პლატფორმები;*

*ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობისთვის ქალებისთვის შეიქმნას დემოკრატიული საკონსულტაციო მექანიზმი მერთან და საკრებულოსთან.*

## **4. ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები**

დმანისის მუნიციპალიტეტში სოციალური ინფრასტრუქტურა განუვითარებელი და სუსტია, რაც სავალალოდ აისახება მოსახლეობის ყოფაზე. ამასთან, დმანისის სოფლად მაცხოვრებელი ადამიანების პოლიტიკური და სოციალური უფლებების განხორციელება, პირდაპირ კავშირშია შემდეგი ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებასთან.

**საზოგადოებრივი ტრანსპორტი.** დმანისის არც ერთ სოფელში არ დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. მოსახლეობა ქალაქ დმანისამდე იყენებს კერძო ტაქსის მომსახურებას, რაც დიდ ხარჯთანაა დაკავშირებული, შესაბამისად მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურეს შემთხვევაში გადის სოფლიდან. ტრანსპორტირების პრობლემა არ ქმნის მხოლოდ მიმოსვლის პრობლემას. იმ პირობებში როცა სოფლების უმეტესობაში არ არის საბავშვო ბაღი, არ არის ამბულატორია და აფთიაქი, არ არის სხვა მინიმალური სერვისების მიღების შესაძლებლობა, ტრანსპორტის ნაკლებობა პრაქტიკულად იზოლაციაში აგდებს სოციალურად ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას.

**სასმელი და სარწყავი წყალი.** სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტის პრობლემა გვხვდება თითქმის ყველა სოფელში. სოფლების უმეტესობაში სასმელად მიედინება არტეზიული წყალი, რომელიც თვალთ

შესამჩნევად დაბინძურებულია. რაც შეეხება სარწყავ წყალს, ის სოფლების უდიდეს ნაწილში არ მიედინება, რაც მძიმე სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობაში აგდებს მოსახლეობას და ხელიდან აცლის შინა მეურნეობაში დასაქმების კიდევ ერთ შესაძლებლობას, ვინაიდან უწყლოდ შეუძლებელია მოიყვანო იმ რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელიც კომერციულად იქნება გამართლებული.

**ჯანდაცვა.** დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების ძირითად ნაწილში არ არის აფთიაქი, არ არსებობს ამბულატორია და სოფლის ექიმი, რომელიც რამდენიმე სოფელს ემსახურება, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს. ამასთან, საყოველთაო სიღარიბე და რესურსებზე წვდომის არქონა, პირდაპირ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს დმანისის ცენტრში არსებულ საავადმყოფოს, ხოლო მძიმე გართულებებისას მიმართავენ მარნეულის ცენტრში მდებარე სავადმყოფოს.

**სამოვარი:** დმანისის სოფლებში მოსახლეობის უმეტესობა მისდევს მეცხოველეობას, თუმცა სოფლების გარშემო სამოვარი მიწების დიდი ნაწილი დატაცებულია კერძო პირების მიერ და გადანაწილებულია ერთეულ ადამიანებზე არასამართლიანად, ისე რომ მოსახლეობის უმრავლესობა ამ საზოგადო სიკეთის მიღმა რჩება.

**სკოლამდელი აღზრდა.** დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლების უმეტეს ნაწილში არ არსებობს საბავშვო ბაღები. მუნიციპალიტეტში 9 საბავშვო ბაღია და ისინი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მსგავსად, მხოლოდ ქართველი მოსახლეობით დასახლებულ სოფელშია განთავსებული. არც ერთ სოფელში სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, საბავშვო ბაღი არ არის. შესაბამისად ბავშვებს არ აქვთ სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში კი სკოლამდელმა აღზრდამ ასევე უნდა შეითავსოს სახელმწიფო ენის სწავლების მნიშვნელოვანი ფუნქცია.

### რეკომენდაციები

*მოხდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესაძენად და მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის და სქემის შემუშავება, რომელიც კონკრეტული სოფლების საჭიროებებს დაეფუძნება;*

*უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობა სასმელი და სარწყავი წყლის სისტემებით და ამისთვის შეიქმნას სოციალურ პრიორიტეტებზე, დემოკრატიულ კონსულტაციებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერს წყლის რესურსების გარეშე დარჩენილი სოფლების წყლით ეტაპობრივ დაკმაყოფილებას;*

*უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და ფუნქციონირება, რომელიც სოფლების საჭიროებებს დაეფუძნება. გარდამავალ პერიოდში დროებით ზომის სახით ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მოხდეს სოფლებში უკვე არსებული სკოლის ბაზაზე სივრცეების გამოყოფისა და აღმზრდელების გადამზადების გზით;*

*მხარი დაუჭიროს და დააორგანიზოს დმანისის მუნიციპალიტეტში სააფთიაქო ქსელისა და ჯანდაცვის რესურსების შექმნა.*

## 5. ცალკეული მოწყვლადი სოციალური ჯგუფების საჭიროებები

ადგილობრივი თვითმმართველობები როგორც წესი არ აწარმოებენ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მრავალგაზომილებიან კვლევას, რომელიც მათ მდგრადი სოციალური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას მისცემდა. ამ კუთხით მუნიციპალურ სამსახურში განსაკუთრებით სუსტია სოციალური

მუშაკების რესურსი, რის გამოც აუცილებელია სოციალური სამსახურის თანამშრომლების რიცხოვნობის გაზრდა და მათი სისტემური გადამზადების პროგრამების (მათ შორის, ბავშვთა უფლებების, შშმ პირთა უფლებების, საცხოვრისზე უფლების, ქალთა უფლებების საკითხებზე) დანერგვა.

მუნიციპალიტეტის მიერ ასევე არ ხორციელდება კონკრეტული მოწყვლადი სოციალური ჯგუფების საჭიროებების კვლევა და მათი მიზნობრივი მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს მცირე გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში კვლავ პრობლემურია შშმ პირების მხარდაჭერის მდგრადი სერვისებისა და პროგრამების დანერგვა.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაეცვას ქალთა მხარდაჭერის პროგრამების სისუსტეს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისში ქალთა ოთახი ფუნქციონირებს, ადგილობრივი ქალები მეტწილად გარიყულნი არიან სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებიდან. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის არ არსებობს ქმედითი საკონსულტაციო მექანიზმი ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, რომელსაც რეალური პრობლემების გადაწყვეტის ნება და შესაძლებლობა ექნებოდა.

### რეკომენდაციები

*მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურში მოხდეს კვალიფიციური სოციალური მუშაკების კადრების (მათ შორის, უმცირესობების ენაზე მომუშავე თანამშრომლების) მობილიზება და მათ გაძლიერებაზე მიმართული გრძელვადიანი ღონისძიებების დანერგვა;*

*სოციალური სამსახურის სამუშაო ინსტრუმენტების გაძლიერება, რაც მათ შორის, მოიცავს საჭიროებების მრავალგანზომილებიან და სამართლიან ინდიკატორებზე დაფუძნებული ბაზის შექმნას;*

*შექმნას შშმ პირთა რეაბილიტაციაზე მიმართული მდგრადი სოციალური და ჯანდაცვის სერვისები; მოხდეს ქალთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების და სერვისების შესახებ ადგილობრივი ქალების ინფორმირება ეფექტიანი და მდგრადი საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებით.*

## 6. მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურის სათანადო დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელსაც სახალხო დამცველი და სხვა ადამიანის უფლებათა აქტორები უთითებენ. დმანისის მუნიციპალიტეტში რეალური გამოწვევაა მუსლიმი თემის აღიარების საკითხი, არც ადგილობრივ თვითმმართველობას და არც ცენტრალურ ხელისუფლებას, შესაბამისი სამსახურების საშუალებით არ უღიარებია აქამდე დმანისში მუსლიმი თემის ცხოვრების, გავლენებისა და კულტურის მნიშვნელობა, მაშინ როდესაც ამ ტერიტორიაზე დგას ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი მეჩეთ(ებ)ი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ არ არის პერსონალურად აღიარებული ძეგლად.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის ფორმატები არ არსებობს. სუსტია ადგილობრივი თვითმმართველობის მულტიკულტურული პოლიტიკა და პრაქტიკებიც.

## რეკომენდაცია

მულტიკულტურული და თანასწორი სოციალური გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნის ქვეშ ინტერ-ეთნიკური საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, რომელიც მათ შორის უმცირესობების კულტურის მდგრად განვითარებასა და პოპულარიზებას, ასევე ინტერკულტურული თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს;

გააძლიეროს სოფლად კულტურული სივრცეების ორგანიზების ხელშეწყობა და შესაბამისი პროგრამების დანერგვა;

შეიქმნას მუნიციპალიტეტის მულტიკულტურული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც კულტურის მოღვაწეებთან, აქტივისტებთან და ექსპერტებთან კონსულტაციებს დაეფუძნება.

## შეჯამება

ზემოაღნიშნული საკითხები წარმოადგენს, იმ სისტემური პრობლემების მცირე ჩამონათვალს, რომელიც დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამოწვევებს ასახავს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ დოკუმენტში წამოჭრილ პრობლემებს საკუთარი სტრატეგიული ხედვების და პოლიტიკური პროგრამების შემუშავებისას, რითიც ხელს შეუწყობთ ინკლუზიაზე, სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის მშენებლობას.

გადაუდებელი საჭიროებები	სტრუქტურული გამოწვევები	სპეციალური საჭიროებები	არაღიარებული საჭიროებები
სასმელ წყალზე უფლება განსაკუთრებით პრობლემურია სოფლებში - ვაკე, მამიშო, საფარლო, ბაზაქლო, ქვემო ოროზმანი, ანგრევანი	ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არც ერთ სოფელში არ არის საბავშვო ბაღი.		საკულტო ნაგებობის მშენებლობაზე მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებელი უარი რამდენჯერმე უთხრა სოფელ საფარლოსა და ამაძლოში
	სარწყავი წყალის პრობლემა მძიმედ დგას სოფლებში - ვაკე, მამიშო, საფარლო, კამარლო, ანგრევანი.		ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი მძიმედ დგას სოფლების უმეტესობაში, თუმცა საგულისხმოა სოფლები - ვაკე, ბაზაქლო, იაყუბლო, საფარლო
	სოფლის შიდა გზები მოუწესრიგებელია თითქმის ყველა სოფელში, განსაკუთრებით პრობლემურია - ქვემო ოროზმანი, ზემო ოროზმანი, ვაკე, ბაზაქლო, მამიშო, საფარლო, იაყუბლო, კამარლო.		

# მარნეულის მუნიციპალიტეტი

## ხედავ პოლიტიკური პარტიებისთვის

### მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ

#### 1. შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) უკვე რამდენიმე წელია სისტემურად მუშაობს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის, თანასწორობისა და ინკლუზიის საკითხებზე. სხვა რეგიონებთან ერთად, ორგანიზაცია იკვლევს ქვემო ქართლის რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში - მარნეულში, ბოლნისში, დმანისსა და წალკაში მცხოვრები ადამიანების ყოფას, საჭიროებებსა და წუხილებს და დემოკრატიული ადვოკატირების გზებით ცდილობს მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებასა და გადაჭრას.

ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და სოციალურ სტრუქტურებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ ერთის მხრივ, გვხვდება ის საერთო პრობლემები, რომელიც ქვეყნის ზოგადი სოციალური და პოლიტიკური გამოწვევებია, თუმცა მეორეს მხრივ, რეგიონის ეთნიკური კომპოზიციის და ინტეგრაციის პოლიტიკაში არსებული სირთულეების ფონზე, გვხვდება სპეციალური საჭიროებები და სოციალური უსამართლობები რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პოზიტიურ ინტერვენციას საჭიროებს.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი სოციალური და პოლიტიკური გამოწვევები და რეკომენდაციები, რომელიც წინასწარჩვენო პროგრამებისა და მომავალი რეფორმის ხედვების შემუშავების დროს გამოსადეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის. აღსანიშნავია, რომ არსებული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ფორმატებში შემუშავებული იყო ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან და აქტივისტურ ჯგუფებთან ერთად და ისინი მათი მხარდაჭერით ასევე სარგებლობს.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია დეცენტრალიზაციის აუცილებლობას და ამ კუთხით რეფორმას უჭერს მხარს, დოკუმენტში წარმოდგენილი ცვლილებების ხედავ პრაქტიკული მიზნებისთვის ადგილობრივი ხელისუფლების არსებული კომპეტენციების ფარგლებშია მოქცეული.

#### 2. მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

მარნეულის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი, 17 თემი და 77 სოფელია გაერთიანებული. მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2021 წლისთვის 107 800 ადამიანს შეადგენს და რუსთავის შემდეგ ქვემო ქართლის რეგიონის ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია. მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხოლოდ 19.4 % ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში. 2014 წლის საქართველოს საყოველთაო აღწერის მიხედვით, მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 83,8%-ს შეადგენენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, 8,6 %-ს ეთნიკური ქართველები, 7%-ს - ეთნიკური სომხები, 0,6 % - კი სხვები. მოსახლეობის დიდ უმრავლესობას (83,2 %) მუსლიმები შეადგენენ.<sup>14</sup>

ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაშია ჩართულია. ქვემო ქართლის რეგიონში უმუშევრობის საერთო მაჩვენებელი მაღალია და 22, 2 % აღწევს (საერთო ეროვნული

<sup>14</sup> 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები, საქსტატის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3319>

მაჩვენებელია 18.5 %).<sup>15</sup> 2020 წლისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტის მიმღები ოჯახების რაოდენობა 3 353 იყო და საერთო მოსახლეობის დაახლოებით 3 % წარმოადგენდა. მთლიანობაში ქვემო ქართლის რეგიონში სოციალური პაკეტის მიმღები პირების რიცხვი ასევე 2020 წლის მდგომარეობით, ბევრად უნდა დაბალია (3,4 %), ვიდრე სხვა რეგიონებში (მაგალითად, სამცხე-ჯავახეთი 4,2 %, კახეთი 4,6 %, სამეგრელო და ზემო სვანეთი 5,4 %, გურია 5,4%, აჭარა 5,5 %, შიდა ქართლი 5,6 %, იმერეთი 6.1 %).

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ემიგრანტების საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მონაცემებით ქვემო ქართლი ასევე მაღალ მაჩვენებლებს იკავებს (11 099 ადამიანი), მასზე უფრო დიდი რეგიონების თბილისისა (27 956) და იმერეთის (20 298 ადამიანი) შემდეგ.

მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 10.6 % აქვს მიღებული უმაღლესი განათლება (საერთო ეროვნული მაჩვენებელი 26.7 % შეადგენს), სრული საშუალო კი დაახლოებით 49 % (საერთო ეროვნული მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 30,5 %, სოფლის დასახლებებში კი 44, 7 %-ია).

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინტიტუტის 2012 წლის კვლევის შესაბამისად, ქვემო ქართლში მცხოვრები 6 წელზე ზევით ასაკის ეროვნული უმცირესობების 71.5 % ვერ ლაპარაკობს სახელმწიფო ენაზე. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ეთნიკურ აზერბაიჯანელებში - 78, 3 %, ხოლო სომეხ მოსახლეობაში - 36.6 %.<sup>16</sup> ცხადია, 2012 წლის შემდეგ სახელმწიფო ენის მცოდნე მოქალაქეების რიცხვი მუნიციპალიტეტში გაზრდილი იქნება.

### 3. პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების დაბალ პოლიტიკურ მონაწილეობაზე არაერთი კვლევა მიუთითებს. საქართველოში არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების ინტერესების დიად გამომხატველი პოლიტიკური პარტია. ამასთანავე, არ არსებობს სპეციალური პოზიტიური მექანიზმები (მაგალითად, კვოტირება, პარტიების სპეციალური დაფინანსების წესი), რომლებიც მათ პოლიტიკურ მონაწილეობას წახალისებდა და არსებულ ასიმეტრიას აღმოფხვრიდა.

ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაცია და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა ძალიან სუსტია. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ეთნიკური კომპოზიცია შემდეგია. ის მთლიანობაში 35 წევრისგან შედგება, სადაც 17 ეთნიკურად აზერბაიჯანელია (48 %), 15 ეთნიკურად ქართველი (43 %), 3 კი ეთნიკურად სომეხი (8%).<sup>17</sup> ეს მონაცემი, ადასტურებს საერთო ტენდენციას, რომელიც ჩანს ეთნიკური უმცირესობების რეპრეზენტაციაში საკრებულოების დონეზე სხვა მუნიციპალიტეტებში. CSEM-ის 2017 წლის კვლევა აჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 8 მუნიციპალიტეტშიც კი (გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, წალკა, ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა) საკრებულოების დონეზე ეთნიკურ უმცირესობების გაცილებით სუსტად არიან წარმოდგენილები. ამ მუნიციპალიტეტებში საშუალოდ 779 ეთნიკურად ქართველს ჰყავს ერთი წარმომადგენელი საკრებულოში, მაშინ როდესაც 1,116 ეთნიკურად სომეხსაც და 2,945 ეთნიკურად აზერბაიჯანელსაც თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავს საკრებულოში.

მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები აზერბაიჯანელების რიცხვი ძალიან მაღალია, ის პროპორციულად არ აისახება უმცირესობების მიერ დაკავებულ საჯარო თანამდებობებზე. მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა 232, აქედან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 84, მერის 18 ადმინისტრაციული ერთეულიდან წარმომადგენელი 15, ხოლო 59 სპეციალისტიდან 40 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. ანუ დასაქმებულთა მხოლოდ **36 %-ია** ეთნიკური უმცირესობა, ეს მაშინ როდესაც მარნეულის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობების საერთო რაოდენობა მოსახლეობის **91,4 %** შეადგენს, მათგან ყველაზე დიდი ჯგუფი კი საქართველოს აზერბაიჯანელები არიან (83,8%).

<sup>15</sup> საქსტატის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/regions/>

<sup>16</sup> სოციალური კვლევისა და ანალიზის ინტიტუტი, 2012 წელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3g7NTz0>

<sup>17</sup> საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მონაცემები, ხელმისაწვდომია: <http://nala.ge/post/242260-marneulis-municipaliteti->

ადგილობრივი თვითმმართველობა, სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მოთხოვნებისა და საერთაშორისო ვალდებულებების მიუხედავად (მაგალითად, FCNM), ადმინისტრაციულ წარმოებაში არ უზრუნველყოფს უმცირესობების ენაზე თარგმანის რესურსების შექმნას. ადგილობრივი თვითმმართველობა ასევე არ ზომავს მის მიერ მიწოდებული მომსახურებისა და პროგრამების ეთნიკური გადანაწილების ტენდენციებს, რაც ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ასიმეტრიის აღმოფხვრის საფუძველი უნდა იყოს. ენის არსებული პოლიტიკა ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან რიყავს და არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს მას. ISSA უახლესი კვლევის შესაბამისად, გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების 69,9 % აცხადებს, რომ მათ საკუთარი და მისი ოჯახის საჭიროებების არასდროს მიუმართავს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. საჯარო ინტერესების შემთხვევაში მიმართვიანობა კიდევ უფრო მაღალია და 76,5 %-ს აღწევს.<sup>18</sup>

კიდევ უფრო პრობლემური და ასიმეტრიულია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. მარნეულის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის ანალიზი აჩვენებს, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალები არ არიან წარმოდგენილნი. მერიის არცერთი სამსახურის, თუ განყოფილების უფროსი არ არის ეთნიკურად უმცირესობების წარმომადგენელი ქალი. ასევე, მუნიციპალიტეტის არცერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი არ არის ეთნიკურად უმცირესობების წარმომადგენელი ქალი.<sup>19</sup> ხშირ შემთხვევაში სოფლის კრებებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ქალების საერთოდ არ ესწრებიან, შესაბამისად, მათი წუხილები და პრობლემები გაუზიარებელი რჩება.<sup>20</sup>

### რეკომენდაციები

- ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში (მათ შორის, საჯარო ინფორმაციის, ვებ-გვერდის, ცხელი ხაზის, სერვისების) შეიქმნას უმცირესობების ენებზე თარგმანის რესურსები, რაც სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებს თვითმმართველობის ორგანოებთან შეუზღუდავი კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს;
- არსებითად გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების დასაქმება და დანერგოს მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართული სპეციალური პროგრამები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე დაინერგოს გენდერული და ეთნიკური ნიშნით მათი მუშაობის (სერვისების, პროგრამების, სხვა აქტივობების) შედეგების გაზომვის მეთოდოლოგიები;
- მერის მოადგილედ დაინიშნოს ქალი, რომელიც ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებაზე ორიენტირებულ სპეციალურ პოლიტიკას გაატარებს და ამისთვის აღჭურვილი იქნება შესაბამისი ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსებით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე მოქმედი ჩართულობის მექანიზმების ფუნქციონირება (მათ შორის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, სოფლის კრებები) რეალური და ქმედითი გახდეს და განსაკუთრებით გაძლიერდეს ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის და მონაწილეობის დემოკრატიული პლატფორმები;
- ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობისთვის ქალებისთვის შეიქმნას დემოკრატიული საკონსულტაციო მექანიზმი მერთან და საკრებულოსთან.

<sup>18</sup> <https://osgf.ge/wp-content/uploads/2019/05/Analytical-Report-ISSA-GEO.pdf>

<sup>19</sup> ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება მარნეულის მუნიციპალიტეტში. პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, 2020; ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-politikuri-monatsileobis-gadzliereba-marneulis-munitsipalitetshi>

<sup>20</sup> დასახლების საერთო კრებები - მოჩვენებითი დემოკრატია რეალური დემოკრატის ნაცვლად: EMC მარნეულის მუნიციპალიტეტს მიმართავს, EMC, 2020 W; ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/dasakhlebis-saerto-krebebi-mochvenebiti-demokratia-realuri-demokratiis-natsvlad-emc-marneulis-munitsipalitetsh-mimartavs>

#### 4. ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები

მარნეულის მუნიციპალიტეტში სოციალური ინფრასტრუქტურა მკვეთრად ჩამორჩენილია და სუსტი. რამდენიმე მიმართულებას უნდა გაესვას ხაზი:

**საზოგადოებრივი ტრანსპორტი.** მარნეულის სოფლების მნიშვნელოვან ნაწილში გამოწვევაა საზოგადოებრივი ტრანსპორტი. სოფლების უმეტესობაში სადაც ტრანსპორტი მოძრაობს, მისი განრიგი მორგებულია მარნეულის აგრარული ბაზრის მუშაობის საათებს, შესაბამისად ტრანსპორტი ხშირად მხოლოდ დილის საათებში მოძრაობს. ამასთან, რაც უფრო შორდება სოფელი ცენტრს მით უფრო ძვირდება მოსახლეობისთვის ტრანსპორტი და მით უფრო ჩაკეტილი ხდება თავად სოფელი. მოსახლეობას უწევს ცენტრიდან რამდენიმე ათეულობით კილომეტრის ფეხით გავლა, ან კერძო ტაქსის დაქირავება. ტრანსპორტირების პრობლემა არ ქმნის მხოლოდ მიმოსვლის პრობლემას. იმ პირობებში როცა სოფლების უმეტესობაში არ არის საბავშვო ბაღი, არ არის ამბულატორია და აფთიაქი, არ არის სხვა მინიმალური სერვისების მიღების შესაძლებლობა, ტრანსპორტის ნაკლებობა პრაქტიკულად იზოლაციაში აგდებს სოციალურად ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას.<sup>21</sup>

**სასმელი და სარწყავი წყალი.** სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტის პრობლემა გვხვდება თითქმის ყველა სოფელში. ზოგ სოფელში სასმელი წყალი კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდის რამდენიმე საათით, ზოგ სოფელში კი მოსახლეობას რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა უწევს სასმელი წყლის საერთო ჭიდან მოსატანად. ეს შრომა კი მეტწილად ქალების ტვირთად იქცევა ხოლმე.

**ჯანდაცვა.** მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების ძირითად ნაწილში არ არის აფთიაქი, არ არსებობს ამბულატორია და სოფლის ექიმი, რომელიც რამდენიმე სოფელს ემსახურება, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის საჭიროებებს. ამასთან, საყოველთაო სიღარიბე და რესურსებზე წვდომის არქონა, პირდაპირ აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.<sup>22</sup>

**სკოლამდელი აღზრდა.** მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების უმეტეს ნაწილში არ არსებობს საბავშვო ბაღები. ბავშვებს არ აქვთ სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ეტაპია ბავშვის განვითარებაში. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში კი სკოლამდელმა აღზრდამ ასევე უნდა შეითავსოს სახელმწიფო ენის სწავლების მნიშვნელოვანი ფუნქცია.

#### რეკომენდაციები

- მოხდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხის გამოყოფა საზოგადოებრივი ტრანსპორტის შესაძენად და მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პოლიტიკის და სქემის შემუშავება, რომელიც კონკრეტული სოფლების საჭიროებებს დაეფუძნება;
- უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობა სასმელი და სარწყავი წყლის სისტემებით და ამისთვის შეიქმნას სოციალურ პრიორიტეტებზე, დემოკრატიულ კონსულტაციებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, რომელიც გაწერს წყლის რესურსების გარეშე დარჩენილი სოფლების წყლით ეტაპობრივ დაკმაყოფილებას;
- უზრუნველყოს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და ფუნქციონირება, რომელიც სოფლების საჭიროებებს დაეფუძნება. გარდამავალ პერიოდში დროებით ზომის სახით ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მოხდეს სოფლებში უკვე არსებული სკოლის ბაზაზე სივრცეების გამოყოფისა და აღმზრდელების გადამზადების გზით;
- მხარი დაუჭიროს და დააორგანიზოს მარნეულის მუნიციპალიტეტში სააფთიაქო ქსელისა და ჯანდაცვის რესურსების ორგანიზებას.

<sup>21</sup> მარნეულის სოფლებში გამოვლენილი მძიმე სოციალური გამოწვევები, EMC, 2020 წ; ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/marneulis-soflebshi-gamovlenili-mdzime-sotsialuri-gamotsvevebi>

<sup>22</sup> EMC მარნეულსა და ბოლნისში შექმნილ სოციალური კრიზისის ეხმინება, 22.04.2020წ. ხელმისაწვდომია: <https://emc.org.ge/ka/products/emc-marneulsa-da-bolnissi-shekmnil-sotsialuri-kriziss-ekhmianebe>



## 5. ცალკეული მოწყვლადი სოციალური ჯგუფების საჭიროებები

ადგილობრივი თვითმმართველობები როგორც წესი არ აწარმოებენ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მრავალგანზომილებიან კვლევას, რომელიც მათ მდგრადი სოციალური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას მისცემდა. ამ კუთხით მუნიციპალურ სამსახურში განსაკუთრებით სუსტია სოციალური მუშაკების რესურსი, რის გამოც აუცილებელია სოციალური სამსახურის თანამშრომლების რიცხოვნობის გაზრდა და მათი სისტემური გადამზადების პროგრამების (მათ შორის, ბავშვთა უფლებების, შშმ პირთა უფლებების, საცხოვრისზე უფლების, ქალთა უფლებების საკითხებზე) დანერგვა.

მუნიციპალიტეტის მიერ ასევე არ ხორციელდება კონკრეტული მოწყვლადი სოციალური ჯგუფების საჭიროებების კვლევა და მათი მიზნობრივი მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს მცირე გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში კვალვ პრობლემურია შშმ პირების მხარდაჭერის მდგრადი სერვისებისა და პროგრამების დანერგვა.

განსაკუთრებული ხაზი უნდა გაესვას ქალთა მხარდაჭერის პროგრამების სისუსტეს. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულში ქალთა ოთახი ფუნქციონირებს, ადგილობრივი ქალები მეტწილად გარიყულნი არიან სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებიდან. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის არ არსებობს ქმედითი საკონსულტაციო მექანიზმი ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, რომელსაც რეალური პრობლემების გადაწყვეტის ნება და შესაძლებლობა ექნებოდა.

### რეკომენდაციები

*მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურში მოხდეს კვალიფიციური სოციალური მუშაკების კადრების (მათ შორის, უმცირესობების ენაზე მომუშავე თანამშრომლების) მობილიზება და მათ გაძლიერებაზე მიმართული გრძელვადიანი ღონისძიებების დანერგვა;*

*სოციალური სამსახურის სამუშაო ინსტრუმენტების გაძლიერება, რაც მათ შორის, მოიცავს საჭიროებების მრავალგანზომილებიან და სამართლიან ინდიკატორებზე დაფუძნებული ბაზის შექმნას;*

*შექმნას შშმ პირთა რეაბილიტაციაზე მიმართული მდგრადი სოციალური და ჯანდაცვის სერვისები;*

*მოხდეს ქალთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების და სერვისების შესახებ ადგილობრივი ქალების ინფორმირება ეფექტიანი და მდგრადი საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიებით.*

## 6. მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების კულტურის სათანადო დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა<sup>23</sup>, რომელსაც სახალხო დამცველი და სხვა ადამიანის უფლებათა აქტორები უთითებენ. მაგალითად, საქართველოს აზერბაიჯანელი თემი მიმდინარე წელს, წინა წლების მსგავსად ნოვრუზის დღესასწაულად

<sup>23</sup> კულტურული დომინაციის და უმცირესობების კულტურის წაშლის ნიშნები ქვემო ქართლის რეგიონში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ავტორი ნარგიზა არჯევანიძე, 2020, ხელმისაწვდომია:

<https://socialjustice.org.ge/ka/products/kulturuli-dominatsiis-da-umtsiresobebis-kulturis-tsashlis-nishnebi-kvemo-kartlis-regionshi>

ცნობას და მის უქმედ გამოცხადებას მოითხოვდა, თუმცა ამ მოთხოვნას სახელმწიფოს მხრიდან რაიმე მსვლელობა არ მისცემია. პანდემიის პირობებში საქართველოს აზერბაიჯანელებმა ნოვრუზის დღეს კომენდანტის საათის გახანგრძლივებაც მოითხოვეს, თუმცა თემის კოლექტიური თხოვნა საქართველოს მთავრობამ ასევე არ გაითვალისწინა.

ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის ფორმატები არ არსებობს. სუსტია ადგილობრივი თვითმმართველობის მულტიკულტურული პოლიტიკა და პრაქტიკებიც.<sup>24</sup>

### რეკომენდაცია

*მულტიკულტურული და თანასწორი სოციალური გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნის ქვეშ ინტერ-ეთნიკური საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, რომელიც მათ შორის უმცირესობების კულტურის მდგრად განვითარებასა და პოპულარიზებას, ასევე ინტერკულტურული თანამშრომლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს;*

*გააძლიეროს სოფლად კულტურული სივრცეების ორგანიზების ხელშეწყობა და შესაბამისი პროგრამების დანერგვა;*

*შეიქმნას მუნიციპალიტეტის მულტიკულტურული პოლიტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც კულტურის მოღვაწეებთან, აქტივისტებთან და ექსპერტებთან კონსულტაციებს დაეფუძნება.*

### შეჯამება

ზემოაღნიშნული საკითხები წარმოადგენს, იმ სისტემური პრობლემების მცირე ჩამონათვალს, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების გამოწვევებს ასახავს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ დოკუმენტში წამოჭრილ პრობლემებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარი სტრატეგიული ხედვების და პოლიტიკური პროგრამების შემუშავებისას, რითიც ხელს შეუწყობენ ინკლუზიას, სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას.

<sup>24</sup> მარნეულის კულტურის ცენტრის პოლიტიკის შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019, ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/marneulis-kulturis-tsentrის-politikის-shefaseba>

გადაუდებელი საჭიროებები	სტრუქტურული გამოწვევები	სპეციალური საჭიროებები	არალიარებული საჭიროებები
<p>სოფელ ხუტორ ლეჟბადინში და თაზაქენდი არასდროს არსებული სასმელი წყლის სისტემა.</p>	<p>საბავშვო ბაღი არ არის შემდეგ სოფლებში - ქვემო სარალი, ზემო სარალი, ქესალო, აზიზქენდი, თაზაქენდი, ქირაჩ-მულანლო, ხულდარა და სხვა.</p>	<p>მარნეულის ყრუთა კავშირის წევრები, განსაკუთრებულ საჭიროებებზე ამახვილებენ ყურადღებას, როგორცაა მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ტრანსპორტის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ გადაადგილებას გეგმიურ ვიზიტებზე ჯანდაცვის დაწესებულებებში.</p>	<p>მეჩეთის მშენებლობის საკითხის წამოწევა სურთ სოფელ კასუმლოში. რადგან წლების განმავლობაში მოსახლეობა ცდილობს საკუთარი ძალებით მეჩეთის აშენებას, თუმცა ნერთვისა მუნიციპალიტეტისგან ვერ იღებენ სხვა და სხვა დაუსაბუთებელი მიზეზით.</p>
<p>სოფელი კასუმლოსა და ქვემო სარალის მოსახლეობა სოფელში არსებული წყაროდან ეზიდება წყალს, რომელიც არტეზიული წყალია და სასმელად ვარგისობაზე არასდროს შემოწმებულა.</p>	<p>სარწყავი წყლის პრობლემა დგას სოფლებში - ხუტორ ლეჟბადინი, კასუმლო, ხიხანი, ალგეთი, ქვემო სარალი, თაზაქენდი, აზიზქენდი.</p>	<p>სკოლებში, ფაქტობრივად არ არის შესაძლებელი შშმ ბავშვმა მიიღოს შესაბამისი სწავლება და თან ჰყავდეს სპეც მასწავლებელი, შესაბამისად მშობლების დიდ ნაწილს ბავშვები საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ დაჰყავთ.</p>	<p>ქალთა ოთახი ფაქტობრივად მოხალისეობრივი რესურსით არსებობს, შესაბამისად მისი შესაძლებლობები მწირია და იმ სოფლებშიც კი სადაც ის არის, ქალების დიდმა ნაწილმა არაფერი იცის ამ რესურსის შესახებ, რა ფუნქციით არის შექმნილი, დახმარების რა ხერხებს სთავაზობს მათ და სხვა.</p>
	<p>ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა შეზღუდული აქვთ, შემდეგი სოფლების მაცხოვრებლებს - სოფლებში- ხიხანი, კასუმლო, ბაითალო, ულაშლო, ქვემო სარალი, ზემო სარალი, ალგეთი, ხუტორ ლეჟბადინი და სხვა)</p>	<p>სოფელ ხიხანში ცხოვრობენ ეკომიგრანტები აჭარიდან, რომელთა ყოფაც განსაკუთრებით მძიმეა სოფლის მუნიციპალური ცენტრისგან სრული იზოლაციისა და მოწყვეტილობის სგამო.</p>	

# ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

## ხედავ პოლიტიკური პარტიებისთვის

### მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ

#### 1. შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) უკვე რამდენიმე წელია სისტემურად მუშაობს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისა და ინკლუზიის საკითხებზე. სხვა რეგიონებთან ერთად, ორგანიზაცია იკვლევს ჯავახეთის რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში - ნინოწმინდასა და ახალქალაქში მცხოვრები ადამიანების ყოფას, საჭიროებებსა და წუხილებს და ადვოკატირების გზებით ცდილობს მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებასა და გადაჭრას.

ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და სოციალურ სტრუქტურებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ ერთის მხრივ, გვხვდება ის საერთო პრობლემები, რომელიც ქვეყნის ზოგადი გამოწვევებია, თუმცა მეორეს მხრივ, ინტეგრაციის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების ფონზე, გვხვდება სპეციალური საჭიროებები, რომელიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პოზიტიურ ინტერვენციას საჭიროებს.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები და რეკომენდაციები, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამებისა და მომავალი რეფორმის ხედვების შემუშავების დროს გამოსადეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის.

ჩვენი ორგანიზაცია დეცენტრალიზაციის აუცილებლობას უჭერს მხარს, თუმცა დოკუმენტში ცვლილებების ხედავ ადგილობრივი ხელისუფლების არსებული კომპეტენციების ფარგლებშია წარმოდგენილი.

#### 2. მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი მონაცემების მიხედვით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 24 491 ადამიანს შეადგენს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 95 %-ს ეთნიკურად სომხები შეადგენენ, 4,2 % - ქართველები, 0,8%-ს რუსები. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი, 9 თემი და 31 სოფელია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 38 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა რომელთაგან 31 - სომხურია, 4- ქართული და 3- რუსული.

სოფლის მეურნეობაში წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების უდიდესი წილი სამცხე-ჯავახეთზე მოდის. რაც, ძირითადად, გამოწვეულია რეგიონული წარმოების კონსოლიდაციით და კომერციული ორიენტაციით. ეს პროდუქტებია: კარტოფილი, ხორცი, რძის პროდუქტები, ასევე მაღალი დამატებითი ღირებულების კალმახი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი შედარებით დაბალია მაღალმთიან და უფრო ურბანიზებულ რეგიონებში.<sup>25</sup>

<sup>25</sup> საქართველოში რეგიონული უთანასწორობების ანალიზი, 216 წლის მდგომარეობი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38TYeu9>

კარტოფილის წარმოების მნიშვნელოვანი წილი კონცენტრირებულია სამცხე-ჯავახეთში, სადაც ქვეყნის კარტოფილის პლანტაციების 52% მდებარეობს. სამცხე-ჯავახეთი ასევე ლიდერობს მეცხოველეობის მიმართულებით.<sup>26</sup>

### 3. პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული საჯარო პოლიტიკის სპეციალური დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, რომელიც მუნიციპალიტეტის დონეზე ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობას, ასევე ადგილზე არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებს დაეთმობოდა და განსაზღვრავდა მუნიციპალიტეტის პოლიტიკას/გეგმას.

მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კომუნიკაციის კუთხითაც. პრობლემები რომელიც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მოსახლეობას აწუხებს წლების მანძილზე გროვდებოდა და გამოსავალი არც ერთი მმართველობის პირობებში არ მოეძებნა. მოსახლეობაში კრიტიკულია განცდა, რომ ისინი ხელისუფლებას მხოლოდ წინა საარჩევნოდ ახსენდება და დაპირებები რომელიც გაიცემა არ სრულდება, ან ისევე წინა საარჩევნოდ კეთდება, ისიც მინიმალური სახით. მოსახლეობა არ მიიჩნევს თავს ადგილობრივ საკითხების გადაწყვეტაში თანამონაწილედ. აღნიშნავდნენ, რომ მართო სოფლის მხარდაჭერით პროგრამის დაგეგმვის დროს ახსენდება ისინი თვითმმართველობას და არ არიან ჩართულები სხვა პროცესებში, მათ შორის ბიუჯეტის დაგეგმვის, საკრებულო სხდომების დღის წესრიგის შესახებ. ასევე არ აქვთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის სხვა გზების შესახებ.

#### რეკომენდაციები

*შეიმუშაოს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების პოლიტიკის განახლებული დოკუმენტი და მასზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა.*

*მიიღოს სპეციალური ზომები ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, ქალების ადგილობრივ პოლიტიკაში მონაწილეობის გასაზრდელად;*

*სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად შექმნას სახელმწიფო ენაზე თარგმნის რესურსები, რაც ადგილობრივ მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტთან შეუფერხებელი კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს. ეს მხარდაჭერა გულისხმობს ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეებისთვის მათი განცხადებების, საჩივრებისა და სხვა დოკუმენტების, ასევე მათზე თვითმმართველობის ოფიციალური პასუხის ამსახველი საჯარო ინფორმაციის თარგმნას სომხურ ენაზე;*

*მუნიციპალიტეტის დონეზე შეიქმნას მოქალაქეების მხარდამჭერი მიმღები/საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აქტიურად (პროაქტიული საინფორმაციო საშუალებები) გაუზიარებს ინფორმაციას თვითმმართველობის და სხვა რელევანტური (განსაკუთრებით სოციალურ/აგრარულ პოლიტიკაზე მომუშავე) უწყებების საქმიანობის, მათი სოციალური და სხვა ტიპის პროგრამების შესახებ, ასევე დაეხმარება მოქალაქეებს მათი ინტერესის მიხედვით შესაბამის სახელმწიფო უწყებებში გადამისამართებაში;*

*შეიქმნას დემოკრატიული და ღია კომუნიკაციის არხები მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის სისტემური შეხვედრების და პრობლემების გაზიარების სახით.*

<sup>26</sup> იქვე

#### 4. ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები

სოციალური სამართლიანობის ცენტრის გუნდის მიერ განხორციელებული ვიზიტებისას, მოსახლეობის უმეტესობა აღნიშნავდა ბუნებრივი აირის და წყლის არ არსებობის პრობლემას. ნინოწმინდაში და ზოგადად ჯავახეთში არსებული რთული კლიმატური პირობების გამო ბუნებრივი აირის სოფლებისთვის მიწოდება საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია.

სოფლების უმრავლესობაში არ არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც მოსახლეობას რომელიმე ქალაქამდე მიიყვანს. ტრანსპორტის პრობლემა, იმთავითვე კავშირშია განათლების საკითხთან. სოციალური სამართლიანობის ცენტრის გუნდის მიერ შესწავლილი სოფლების უმეტესობაში ტრანსპორტი უბრალოდ არ დადის. ამ პირობებში შეუძლებელია ახალგაზრდამ დაგეგმოს სწავლის გაგრძელება, თუნდაც ახალქალაქში არსებულ სასწავლებელში.

სოფლების უმეტესობაში შიდა გზები მოუწყვრებიან, გადაადგილება წვიმიან ამინდში პრაქტიკულად შეუძლებელია. ხშირად გზები იმდენად ტალახდება, რომ ბავშვებს მშობლები სკოლაში ვერ უშვებენ. მაღალმთიან სოფლების პრობლემა კი არამხოლოდ შიდა გზები, არამედ მისასვლელი გზებიცაა, რომელზე გადაადგილებაც მხოლოდ მაღალი გამავლობის მანქანით არის შესაძლებელი.

პრობლემას წარმოადგენს ნაგავსაყრელების და ნაგვის ურნების ინფრასტრუქტურის არ არსებობა, რაც წარმოშობს გარემოს დაბინძურების და შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების რისკებს. მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა მოახერხოს თუნდაც სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებისგან თანხმების მობილიზება და ამ შედეგებით მარტივი პრობლემის მოკლე ვადებში მოგვარება.

სასმელი წყლის საჭიროება განსაკუთრებით მწვავედ პანდემიის პირობებში გამოვლინდა. სასმელი წყლის საკითხი რეალური გამოწვევაა სოფლების უმეტესობაში, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლებში. ზოგ სოფელში სასმელი წყალი კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდის რამდენიმე საათით, ზოგ სოფელში კი მოსახლეობას რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა უწევს სასმელი წყლის საერთო ჭიდან მოსატანად. ეს შრომა კი მეტწილად ქალების ტვირთია.

კრიტიკულად მცირეა საბავშვო ბაღების რაოდენობაც მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის ოფიციალური საიტი 2 საბავშვო ბაღის არსებობის შესახებ იუწყება. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან საუბრისას კი გაირკვა, რომ რვამდე სკოლამდელი აღზრდის წრე ფუნქციონირებს სოფლებში, რომელთა ინფრასტრუქტურული გამართვა და საბავშვო ბაღის ფუნქციით ამუშავება იგეგმება. თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობით, ბაღების ასეთი მცირე რაოდენობა კიდევ უფრო ამძიმებს ქალთა საშინაო შრომას.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბევრ სოფელში მიწების არათანაბარი განაწილება, რის გამოც ამჟამად უამრავი ოჯახი მიწის რესურსის კრიტიკულ სიმცირეს განიცდის. ხოლო სოფლის მიმდებარე მიწების უდიდესი ნაწილი ერთეული პირების ხელშია მოქცეული, რომლებიც სოფლის დანარჩენ მოსახლეობაზე იჯარით გასცემენ ამ მიწებს. მიწის რესურსის უთანასწორო განაწილება ხშირად ხდება სოციალური კონფლიქტების მიზეზი.

მუნიციპალიტეტში სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან ჩავარდნას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების დიდ ნაწილს არ აქვს ზუსტი და მკაფიო წარმოდგენა იმ სოციალური სერვისების შესახებ, რასაც მუნიციპალური, თუ სახელმწიფო ორგანოები აწვდიან საკუთარი ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან და უფლებამოსილებიდან გამომდინარე. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ეთნიკურად სომეხი მოსახლეობით დასახლებული სოფლების უმეტესობაში, ცოდნა სახელმწიფო სერვისებზე უკიდურესად დაბალია. მოსახლეობამ პრობლემად დაასახელა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო თუ არასამთავრობო

სექტორის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე ინფორმაციის არქონა, მათ შორის სოფლებში ნაკლებია ინფორმაცია კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესთან დაკავშირებით. მათ არ აქვთ ცოდნა სოციალური დახმარების პროგრამების და პროცედურების შესახებაც. ვიზიტებისას მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო სერვისების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის სურვილი და მოტივაცია ნაკლებად აქვთ, რადგან არსებობს ზოგადი ნეგატიური მოლოდინი. გარდა ამისა, სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ადგილობრივებს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა უჭირთ. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობის ორგანოებში და სახელმწიფო სერვისის მიმწოდებელ ორგანოებში ხშირად ეთნიკურად სომხები არიან დასაქმებული, მათთან კომუნიკაცია, დოკუმენტების მიღება/გაცემა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე ხდება, რაც ენიც არცოდნის პირობებში მნიშვნელოვანი ბარიერია.

### **რეკომენდაციები**

*უზრუნველყოს სოფლებისთვის საბავშვო ბაღების მშენებლობა და სათანადო ორენოვანი და მულტიკულტურული სწავლების პროგრამების განვითარება;*

*უზრუნველყოს სოფლებში შიდა გზების, ნავის ყუთების, ნაგავსაყრელების და ელექტროგაყვანილობის ბოძების მოწესრიგება და მათი უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა;*

*მნიშვნელოვანი იქნება, თუ ადგილობრივი ხელისუფლება ამუშავებს სათემო სოციალური მუშაკების სისტემას, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შექმნის და განავითარებს და სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირების და სოციალური დაცვის შესაბამის ინსტიტუტებთან ადგილობრივების კომუნიკაციის არხებს გააჩენს. ეს ინსტიტუტი დაეხმარება სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ადგილობრივებთან კომუნიკაციის გაძლიერებაში და ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებას და პასუხისმგებელ უწყებებთან მიტანას უკეთესად მოახდენს.*

## **5. ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები**

მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში საკმაოდ ფორმალური როლი ენიჭება გენდერულ საკითხებს, ქალთა ოთახის ფუნქციონირებას აქვს ძალიან შეზღუდული ფინანსური და ორგანიზაციული ლიმიტები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ გადის გენდერული საჭიროებების კუთხით ექსპერტიზას. ნინოწმინდაში არ არის შშმ პირების რეაბილიტაციის დღის ცენტრი, მუნიციპალიტეტისთვის უცნობია შშმ პირთა საჭიროებები.

### **რეკომენდაციები**

*შშმ პირებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე და ადაპტირებაზე ორიენტირებული პროგრამების ამუშავება, რომელიც წინასწარ კვლევასა და შშმ პირებთან და მათ ოჯახებთან აქტიურ კონსულტაციებს დაეფუძნება;*

*გაზარდოს ქალთა ოთახის საბიუჯეტო დაფინანსება, გაითვალისწინოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული საჭიროებები, უზრუნველყოს სოფლის კრებებზე ქალთა აქტიური დასწრება და მონაწილეობა.*

## 6. მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები

ნინოწმინდის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა როგორც აღინიშნა საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომხები არიან. ეთნიკური ერთგვაროვნება მეტ-ნაკლებად გამორიცხავს კულტურულ დამაბულოებებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის ძალისხმევა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რადგან აუცილებელია ნინოწმინდაში მაცხოვრებელი ეთნიკური სომხები მთლიანი საქართველოს კონტექსტში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ და აქვთ ბარიერები სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე.

### რეკომენდაციები

*მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების საგანმანათლებლო, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა, რომელიც მიმართული იქნება ნინოწმინდაში მცხოვრები ახალგაზრდების და საქართველოს სხვა რეგიონების ახალგაზრდების ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განსახორციელებლად.*

*ინტერ-რელიგიური საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, უმცირესობების კულტურის მდგრადი განვითარება და შენარჩუნება.*

## შეჯამება

ზემოაღნიშნული საკითხები წარმოადგენს, იმ სისტემური პრობლემების მცირე ჩამონათვალს, რომელიც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თემის გამოწვევებს ასახავს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ დოკუმენტში წამოჭრილ პრობლემებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარი სტრატეგიული ხედვების და პოლიტიკური პროგრამების შემუშავებისას, რითიც ხელს შეუწყობენ ინკლუზიზაზე, სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას.

## 7. სოფლების საჭიროებების რუქა, სადაც გადაუდებელი და მძიმე საჭიროებები დგას

საბავშვო ბაღების საჭიროება	ნაგავსაყრელების ინფრასტრუქტურის მწვავე საჭიროება	შიდა სასოფლო გზების მოწესრიგების მწვავე საჭიროება	წყალ მომარაგების გაართვის აუცილებლობა
სოფლები: თორია, ვლადიმეროვკა, ახალი ხულგუმო, სპასოვკა, პატარა არაქალი, ეფრემოვკა, დიდი ხორენია.	სოფელი ვლადიმეროვკა;	სოფლები: სპასოვკა, თორია, პატარა არაქალი, ეშტია, პატარა ხორენია.	სოფლები ეფრემოვკა, პატარა არაქალი.



# შუახვევის მუნიციპალიტეტი

## ხედავ პოლიტიკური პარტიებისთვის

### მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ

#### 1. შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) უკვე რამდენიმე წელია სისტემურად მუშაობს არადომინანტური რელიგიური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისა და ინკლუზიის საკითხებზე. სხვა რეგიონებთან ერთად, ორგანიზაცია იკვლევს მაღალმთიანი აჭარის რეგიონში მცხოვრები ადამიანების ყოფას, საჭიროებებსა და წუხილებს და ადვოკატირების გზებით ცდილობს მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებასა და გადაჭრას.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია შუახვევის მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები და რეკომენდაციები, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამებისა და მომავალი რეფორმის ხედვების შემუშავების დროს გამოსადეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის.

ჩვენი ორგანიზაცია დეცენტრალიზაციის აუცილებლობას უჭერს მხარს, თუმცა დოკუმენტში ცვლილებების ხედავ ადგილობრივი ხელისუფლების არსებული კომპეტენციების ფარგლებშია წარმოდგენილი.

#### 2. მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

შუახვევის მუნიციპალიტეტი 68 დასახლებული პუნქტისგან შედგება: ადმინისტრაციული ცენტრი - დაბა შუახვევი და 67 სოფელი. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, მუნიციპალიტეტში 15 044 ადამიანი ცხოვრობდა. შუახვევის მუნიციპალიტეტი იყოფა 10 ტერიტორიულ ერთეულად: 1 სადაბო და 9 სასოფლო თემად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 43 საჯარო და 1 კერძო სკოლა, ასევე 13 საბავშვო ბაღი.

#### 3. პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები

შუახვევის მუნიციპალიტეტში სუსტად არის განვითარებული პოლიტიკურ მონაწილეობის მექანიზმები. მუნიციპალიტეტში მოქმედებს ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭო, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, შშმ პირთა საკითხზე, ასევე ბავშვთა და ოჯახური ძალადობის საკითხზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოები. მიუხედავად ამგვარი მექანიზმების არსებობისა, მოსახლეობის უმრავლესობისთვის უცნობია ამ საბჭოების მუშაობის შედეგები და ამოცანები. მოსახლეობა წლების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ადგილობრივი ხელისუფლების შიგნით არსებულ ასეთ სტრუქტურებს პარტიული და ნეპოტისტური დასაქმების ადგილებად განიხილავს. მოსახლეობის ჩართულობის ძირითად მოდელად გამოიყენება სოფლის კრებები, რომლებიც როგორც მოსახლეობა აღნიშნავს უმეტეს შემთხვევაში ფორმალურია. მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს იმით, რომ მუნიციპალიტეტი მხოლოდ წინა საარჩევნო პერიოდში ეკონტაქტება პროაქტიურად მოსახლეობას, გაიცემა დაპირებები, რომელთა უდიდესი ნაწილიც მათი თქმით, ტრადიციულად შეუსრულებელი რჩება. შუახვევის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებიც აცნობიერებენ, რომ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები და შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია და ესეც ნიჰილისტურად განაწყობს მათ, რათა პრობლემების თაობაზე ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართონ.

### **რეკომენდაციები**

*მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სპეციფიკურ ჯგუფებზე მორგებული მექანიზმები თვითმმართველობის საქმიანობაში მათ ჩასართავად უშუალოდ მოსახლეობის ამ ჯგუფების მონაწილეობით და ამ მონაწილეობის წახალისებით. მოიზიდოს პარტიულად ნეიტრალური ახალგაზრდები და ინიციატივები მოქალაქეები და მისცეს მათ გრანტები იდეების და ინტერესების რეალიზებისთვის.*

## **4. ზაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები**

მუნიციპალიტეტში სოციალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან ჩავარდნას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლების დიდ ნაწილს არ აქვს ზუსტი და მკაფიო წარმოდგენა იმ სოციალური სერვისების შესახებ, რასაც მუნიციპალური, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თუ სახელმწიფო ორგანოები აწვდიან საკუთარი ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან და უფლებამოსილებიდან გამომდინარე. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სოციალური სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, ტრენინგების ორგანიზება. ასევე შეიმუშავოს მკაფიო გზამკვლევი იმის შესახებ, თუ რომელ კონკრეტული სერვისის მისაღებად უნდა მიმართოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოს ამ გზამკვლევის პროაქტიული გავრცელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტს აქვს შესაძლებლობა უფრო მკაფიოდ დაინახოს თემში არსებული სოციალური პრობლემები, განსაკუთრებით მიმდინარე პანდემიის პირობებში, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა არსებული პრობლემები. მუნიციპალიტეტი ვერ ავრცელებს საკუთარი სოციალური სერვისების შესახებ ინფორმაციას მასობრივად მოსახლეობაში. არ აქვთ პროაქტიული შეთავაზებები მოსახლეობისადმი რომელიმე სოციალური თუ ჯანდაცვის სერვისის სარგებლობის შესახებ.

### **რეკომენდაციები**

*მუნიციპალიტეტმა, მათ შორის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სოციალური სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების, ტრენინგების ორგანიზება. ასევე შეიმუშავოს მკაფიო გზამკვლევი იმის შესახებ, თუ რომელ კონკრეტული სერვისის მისაღებად უნდა მიმართოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოს ამ გზამკვლევის პროაქტიული გავრცელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.*

## **5. ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები**

მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში საკმაოდ ფორმალური როლი ენიჭება გენდერულ საკითხებს, ქალთა ოთახის ფუნქციონირებას აქვს ძალიან შეზღუდული ფინანსური და ორგანიზაციული ლიმიტები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ გადის გენდერული საჭიროებების კუთხით ექსპერტიზას. შუახევში არ არის შშმ პირების რეაბილიტაციის დღის ცენტრი, რომელიც საერთაშორისო დონორების დაფინანსების შედეგად ამოქმედდა.

### **რეკომენდაციები**

*შშმ პირებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე და ადაპტირებაზე ორიენტირებული პროგრამების ამუშავება, რომელიც წინასწარ კვლევასა და შშმ პირებთან და მათ ოჯახებთან აქტიურ კონსულტაციებს დაეფუძნება;*

*გაზარდოს ქალთა ოთახის საბიუჯეტო დაფინანსება, გაითვალისწინოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული საჭიროებები, უზრუნველყოს სოფლის კრებებზე ქალთა აქტიური დასწრება და მონაწილეობა.*

## **6. მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები**

შუახვევში საკმაოდ ძლიერია სხალთის ეპისკოპოსის სპირიდონ აბულაძის გავლენები. ამ მუნიციპალიტეტში მდებარეობს მეუფე სპირიდონის მიერ მართული ხიჭაურის უნივერსიტეტი. მოსახლეობის ინფორმაციით, ეპისკოპოსის ძალაუფლების მიმართ ლოიალობას იჩენენ არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ყველა რანგის თანამშრომლები, არამედ სამართალდამცავებიც. სხალთის ეპარქიასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულებები გაბატონებული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის იდეების პროპაგანდირებას ეწევიან. მუნიციპალიტეტში არადომინანტური კულტურის კვალს მხოლოდ სოფლის მეჩეთები ინახავს, რომელთა დიდი ნაწილი საჭიროებს შეკეთებას.

### **რეკომენდაციები**

*ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის პროცესში რელიგიური ნეიტრალიტეტის და სეკულარიზმის პრინციპების განუხრელი დაცვა;*

*ინტერ-რელიგიური საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, უმცირესობების კულტურის მდგრადი განვითარებასა და პოპულარიზება, მაგალითად, ადგილობრივი რეწვის კულტურის მხარდაჭერა. სოფლად კულტურული სივრცეების შექმნა და ფუნქციური დატვირთვის გამოძებნა;*

*ადგილობრივი ისლამური კულტურის წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მათ შორის ტურიზმის კუთხითაც.*

## **შეჯამება**

ზემოაღნიშნული საკითხები წარმოადგენს, იმ სისტემური პრობლემების მცირე ჩამონათვალს, რომელიც შუახვევის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თემის გამოწვევებს ასახავს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ დოკუმენტში წამოჭრილ პრობლემებს საკუთარი სტრატეგიული ხედვების და პოლიტიკური პროგრამების შემუშავებისას, რითიც ხელს შეუწყობთ ინკლუზიანზე, სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის მშენებლობას.

# ხულოს მუნიციპალიტეტი

## ხედავ პოლიტიკური პარტიებისთვის

### მუნიციპალიტეტის ძირითადი საჭიროებების და პოლიტიკური ინტერვენციების შესახებ

#### 1. შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC) უკვე რამდენიმე წელია სისტემურად მუშაობს არადომინანტური რელიგიური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობისა და ინკლუზიის საკითხებზე. სხვა რეგიონებთან ერთად, ორგანიზაცია იკვლევს მაღალმთიანი აჭარის რეგიონში მცხოვრები ადამიანების ყოფას, საჭიროებებსა და წუხილებს და ადვოკატირების გზებით ცდილობს მათ პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებასა და გადაჭრას.

წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი სოციალური და პოლიტიკური საჭიროებები და რეკომენდაციები, რომელიც წინასაარჩევნო პროგრამებისა და მომავალი რეფორმის ხედვების შემუშავების დროს გამოსადეგი შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია დეცენტრალიზაციის აუცილებლობას და ამ კუთხით რეფორმას უჭერს მხარს, დოკუმენტში წარმოდგენილი ცვლილებების ხედავ პრაქტიკული მიზნებისთვის ადგილობრივი ხელისუფლების არსებული კომპეტენციების ფარგლებშია მოქცეული.

#### 2. მუნიციპალიტეტის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები

ხულოს მუნიციპალიტეტი 79 დასახლებული პუნქტისგან შედგება: ადმინისტრაციული ცენტრი - დაბა ხულო და 78 სოფელი. **ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მხოლოდ 4.3 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში.** 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თანახმად, მუნიციპალიტეტში 23 327 ადამიანი ცხოვრობდა. ხულოს მუნიციპალიტეტი იყოფა 13 ტერიტორიულ ერთეულად: 1 სადაბო და 12 სასოფლო თემად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 49 საჯარო და 1 კერძო სკოლა, ასევე 23 საბავშვო ბაღი. ხულოს მოსახლეობის 94,6 % მუსლიმები შეადგენენ.

მოსახლეობის 12.9 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება.

#### 3. პოლიტიკურ მონაწილეობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებული გამოწვევები

ხულოს მუნიციპალიტეტში სუსტად არის განვითარებული პოლიტიკურ მონაწილეობის მექანიზმები. მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული გეგმა მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად. მოსახლეობის ჩართულობის ძირითად მოდელად გამოიყენება სოფლის კრებები, რომლებიც როგორც მოსახლეობა აღნიშნავს უმეტეს შემთხვევაში ფორმალურია. სოფლის კრებებზე დასახული პრიორიტეტები, მათი თქმით, როგორც წესი ჩინოვნიკების კაბინეტებში მაინც იცვლება და მრუდდება. ბუნებრივია ასეთი გამოცდილება მოსახლეობაში არ აღძრავს ადგილობრივ თვითმმართველობასთან საქმიანი ურთიერთობის სურვილს. ხულოს მუნიციპალიტეტი საკმაოდ პატარა გეოგრაფიული სივრცეა. მოსახლეობის რაოდენობაც მცირეა, ამიტომ აქ მაცხოვრებელი ადამიანებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამდებობის პირებთან კომუნიკაცია შედარებით გამარტივებულია, რადგან ხშირ შემთხვევაში ამ პიროვნებებს პირადადაც იცნობენ. მაგრამ მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს იმით, რომ მუნიციპალიტეტი მხოლოდ წინა საარჩევნო პერიოდში ეკონტაქტება პროაქტიურად მოსახლეობას. ხულოს მაცხოვრებლების აზრით, მუნიციპალიტეტის

უფლებამოსილებები და შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია და ესეც ნიჰილისტურად განაწყობს მათ, რათა პრობლემების თაობაზე ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართონ.

### **რეკომენდაციები**

*მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს სპეციფიკურ ჯგუფებზე მორგებული მექანიზმები თვითმმართველობის საქმიანობაში მათ ჩასართავად. მაგალითად, დაგეგმოს გრძელვადიანი მოქმედებები ახალგაზრდული ინიციატივების მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე გრანტების გამოყოფის და ამ გრანტების განაწილების პროცესში ახალგაზრდული საბჭოების მონაწილეობის გზით.*

## **4. ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სირთულეები**

ხულოს მუნიციპალიტეტში ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ძირითადად მიემართება სანიაღვრე არხების მოწესრიგებას და შიდა გზების გამართვას.

***მთის კლიმატური კურორტი ბეშუმში** - ბეშუმში მყოფი მემთურებისთვისაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლებით რეგისტრაცია და ასევე ბეშუმის ირგვლივ არსებული იალაღების ფუნქციის შენარჩუნება, რომ არ მოხდეს ამ ტერიტორიის გასხვისება ინვესტორებზე ისე, რომ მემთურებისთვის შეუძლებელი გახდეს მეცხოველობის გაგრძელება. ბეშუმში მწვავედ დგას ასევე რამდენიმე ინფრასტრუქტურული პრობლემა: შიდა გზების მოუწესრიგებლობა, ელექტრო ენერჯის გამრიცხველიანების არ არსებობა და ძველი ელექტრო სადენების და ავარიული ელექტრო ბოძების გამო ელექტრო ენერჯის შეფერხებით მიწოდება.*

***სოფელი ბაკო** - დასახლებამდე მისასვლელი გზის და დასახლების შიგნით არსებული გზების გაუმართაობა, რაც აძნელებს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას მითუმეტეს საქონელთან ერთად და გარდა ამისა აფერხებს ტურიზმის განვითარებას.*

***სოფელი წაბლანა** - სოფლამდე მისასვლელი გზების და შიდა სასოფლო გზების მოუწესრიგებლობა.*

***სოფელი დიდაჭარა** - მწვანე ტბის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესში მოსახლეობის ჩართულობა და მათი ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება.*

სამწუხაროდ დაბა ხულოსთვის წყლით მომარაგების პრობლემის მოგვარება წლების განმავლობაში გაიწელა და ეს წყლის რესურსებით მდიდარი რეგიონი ამ ბაზისურ ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მოლოდინშია. დაბის მიმდინარე სოფლებში შეიქმნა ასევე წყლის დეფიციტი, წყაროების დაშრობა, რასაც მოსახლეობა ჰესის გვირაბების გაყვანას უკავშირებს.

*სოფელი ქედლების მოსახლეობა განსაკუთრებით ჩივის წყაროების დაშრობის გამო სოფელში სასმელი წყლის არ არსებობის პრობლემას.*

მუნიციპალიტეტის ცენტრის გარდა, სოფლებში არ არის ხელმისაწვდომი სააფთიაქო მომსახურება, რისი საჭიროებაც განსაკუთრებულად გაიზარდა პანდემიის კვალდაკვალ. მუნიციპალიტეტი ვერ ავრცელებს საკუთარი სოციალური სერვისების შესახებ ინფორმაციას მასობრივად მოსახლეობაში. არ აქვთ პროაქტიული შეთავაზებები მოსახლეობისადმი რომელიმე სოციალური თუ ჯანდაცვის სერვისის სარგებლობის შესახებ.

### **რეკომენდაციები**

*ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი რესურსები, რათა თვითმმართველობის ორგანოებმა შეძლონ სააფთიაქო ქსელებთან/კომპანიებთან ადვოკატირების პროცესის ორგანიზება მუნიციპალიტეტის სოფლებში აფთიაქების ქსელის გახსნის მიზნით. მათ შორის, თვითმმართველობის მხარდაჭერა შეიძლება გულისხმობდეს შესაბამის სააფთიაქო კომპანიისთვის სივრცის უსასყიდლოდ დათმობას;*

*სოციალური სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების ორგანიზება და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სოციალური სერვისების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული, კამპანიური გავრცელება.*

## **5. ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებები**

მუნიციპალიტეტის პოლიტიკიდან ფაქტობრივად გამოტოვებულია მთელი რიგი მოწყვლადი ჯგუფები. მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის დაფინანსება მიზერული და ფაქტობრივად სიმბოლურია. შესაბამისად, საქმიანობა მთლიანად გარე ფინანსების მოზიდვაზეა დამოკიდებული და ამიტომაც ნაკლებად ეფექტური. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ გადის გენდერული საჭიროებების კუთხით ექსპერტიზას. ხულოში არ არის შშმ პირების რეაბილიტაციის ცენტრი, მუნიციპალიტეტეს არ აქვს ნაკვლევითი შშმ პირთა საჭიროებები.

### **რეკომენდაციები**

*შშმ პირებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე და ადაპტირებაზე ორიენტირებული პროგრამების ამუშავება, რომელიც წინასწარ კვლევასა და შშმ პირებთან და მათ ოჯახებთან აქტიურ კონსულტაციებს დაეფუძნება;*

*გაზარდოს ქალთა ოთახის საბიუჯეტო დაფინანსება, გაითვალისწინოს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გენდერული საჭიროებები, უზრუნველყოს სოფლის კრებებზე ქალთა აქტიური დასწრება და მონაწილეობა.*

## 6. მულტიკულტურული გარემოს მშენებლობის პროცესთან დაკავშირებული სირთულეები

ხულოში საკმაოდ ძლიერია სხალთის ეპისკოპოსის სპირიდონ აბულაძის გავლენები. მოსახლეობის ინფორმაციით, ეპისკოპოსის ძალაუფლების მიმართ ლოიალობას იჩენენ არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ყველა რანგის თანამშრომლები, არამედ სამართალდამცავებიც. სხალთის ეპარქიასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო დაწესებულებები გაბატონებული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის იდეების პროპაგანდირებას ეწევიან. მუნიციპალიტეტში არადომინანტური კულტურის კვალს მხოლოდ სოფლის მეჩეთები ინახავს, რომელთა დიდი ნაწილი საჭიროებს შეკეთებას.

### *რეკომენდაციები*

*ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის პროცესში რელიგიური ნეიტრალიტეტის და სეკულარლიზმის პრინციპების განუხრელი დაცვა;*

*ინტერ-რელიგიური საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა, უმცირესობების კულტურის მდგრადი განვითარებასა და პოპულარიზება, მაგალითად, ადგილობრივი რეწვის კულტურის მხარდაჭერა. სოფლად კულტურული სივრცეების შექმნა და ფუნქციური დატვირთვის გამოძებნა;*

*ადგილობრივი ისლამური კულტურის წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მათ შორის ტურიზმის კუთხითაც.*

### შეჯამება

ზემოაღნიშნული საკითხები წარმოადგენს, იმ სისტემური პრობლემების მცირე ჩამონათვალს, რომელიც ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები თემის გამოწვევებს ასახავს. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პოლიტიკური პარტიები გაითვალისწინებენ დოკუმენტში წამოჭრილ პრობლემებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საკუთარი სტრატეგიული ხედვების და პოლიტიკური პროგრამების შემუშავებისას, რითიც ხელს შეუწყობენ ინკლუზიაზე, სამართლიანობაზე და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას.